ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 10 ოქტომბერი 2003 №192 (1963) | ფასი 50 თეთრი

ეჭვიანი იმედი
თუ გული გულობს, რუსიც შეიჯმევა

საქართველოს ეროვნულ-ახალგაზრდულ ნაკრებებს დიდი ამბით დახვდნენ მოსკოვში. აეროპორტის მოსაცდელში მომლოდინე ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს თვლა არ ჰქონდათ.

დანაკლისით ეწვია მოსკოვს საქართველოს ეროვნული გუნდი. არველაძის და კალაძის გარდა ნაკრებს მწვრთნელი მიხეილ ყაველაშვილი და მისი შვეიცარიელი დოსტი გამოაკლდა, ამათი მოსკოვში ვერჩასვლა სავიზო პრობლემებით აიხსნა.

ეროვნულ გუნდს ყურადღება არც ვარჯიშისას მოჰკლებია თავსხმა წვიმაში რომ გაიმართა ტუშინოს გარეუბანში. გადამწყვეტი და უმთავრესი მატჩის წინ რუსები დიდ ფორიაქში არიან, მეტიც, შეშინებულნი ჩანან, ემანდ ქართველებმა რამე არ მოგვწიონო. რუსებს ქართული ჟინი და ღირსება აკერიათ პირზე.

იქ რომ რუსული შიშია, საქართველოში ქომაგს ქართული ეჭვი უღრღნის გულს, ჩვენები რუსებს არ დაუწვნენო. აქვს კიდეც ქომაგს ეჭვის საფუძველი, რადგან შარშანდელი კენჭისყრის შემდეგ ყველაფერი რუსული სცენარით განვითარდა, აკი, მეათე ჯგუფის კალენდარიც რუსულ თარგზე იყო მოჭრილი და ამაში ქართველთა ხელიც ერია, მაგრამ იყო ჩვენთვის სასიამოვნო ერთი გამონაკლისიც — 30 აპრილის ლამაზი საღამო, როცა საქართველომ ღირსეულად იომა და რუსის დაჩოქება შეძლო.

მოსკოვში ჩასული ქართველი ფეხბურთელები ამბობენ, რომ ღირსების დასაცავად შეებრძოლებიან რუსებს. ღირსება კი სატურნირო მოტივაციაზე გაცილებით დიდი რამ არის.

ᲪᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

„ვნუკოვოს“ აეროპორტში გიორგი დემეტრაძე რუსმა ჟურნალისტებმა ალყაში მოაქციეს

REUTERS სიდნეიდან

RUGBY WORLD CUP 2003

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ — 22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

დღეიდან დედამიწა ოვალურია
საკვირაო დიდება დიდებაზე მეტია

თითქოს უხილავმა მსაჯულმა ასე დაგვსაჯა, შინ დაჯექით და გუნდურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატებზე გადამთიელებს უქომაგეთო. ჩვენც შინ ვიჯექით და როცა შუქი გვქონდა, ვნერვიულობდით ამ გადამთიელთა დარტყმულზე, ნატყორცნზე, გაქცეულზე...

დღეიდან რამდენიმე კვირა კი ჩვენებურებს ვუქომაგებთ. როგორც იქნა, ქართველებმაც გააღწიეს სათამაშო მსოფლიოს ჩემპიონატზე — დღეს ავსტრალიაში სარაგბო მსოფლიოს თასი იწყება და ჩვენი ნაკრებიც იქაა. ამ გუნდს დიდი სატურნირო მიზნები არა აქვს და ზოგიერთ მეტოქესთან ეგებ დიდი, ჩვენი „ფეხბურთოცენტრული“ საზომებით ვეება ანგარიშითაც დამარცხდეს, მაგრამ ის კი ნაღდად არ გვეეჭვება, რომ „ბორღჯლიანი“ კაცები ვაგლახად არავის დაელელოვებიან, მსოფლიო რაგბეთს ღატაკქვეყნელ უმწიფარ შეგირდებად არ დაენახვებიან და ექვსკვირიან შუშპარა ფიესტაში თავიანთ კაცურ წილსაც დაიდებენ.

ფიესტა კი, იცოცხლეთ, ზორბა უნდა გამოდგეს. ტურნირი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ტიტულდამცველ ავსტრალიისა და არგენტინის შეხლით იწყება. ქართული ჰიმნი კი გარსაქვეყნოდ ზეგ გაიჟღერებს — პირველ სამსოფლიოთასო ოფლსა და სისხლს „ბორჯღალოსნები“ ინგლისური „ვარდების“ კრეფისას დაღვრიან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲘ

სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 თებერვალი 2002 №25 (1547) | ფასი 50 თეთრი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მათი შესარჩევი ჯგუფი საქართველოს ნაკრების მატჩთა განრიგი

7 სექტემბერი, 2002
შვეიცარია – საქართველო
12 ოქტომბერი
საქართველო – რუსეთი
29 მარტი, 2003
საქართველო – ირლანდია
2 აპრილი
საქართველო – შვეიცარია
11 ივნისი
ირლანდია – საქართველო
6 სექტემბერი
საქართველო – ალბანეთი
10 სექტემბერი
ალბანეთი – საქართველო
11 ოქტომბერი
რუსეთი – საქართველო

კალენ-დარია თუ აკდარია

დუბლინში დადგენილი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპის კალენდარი საქართველოს ნაკრებისთვის მაინც და მაინც სასარბელი რომ არ არის, ეფიქრობთ, ბევრი დაგვეთანხმება. კალენდრის სამხილი ვარიანტის შემტანმა ქიბგამ თავისი უკმაყოფილება გუშინვე გამოთქვა და რედაქციამდე დაგვკავშირდა ჩვენ ჩვენი მხრივ წუხელ ფეხბურთელებს შევხვედრეთ და მათი აზრიც გავიგეთ. პირდაპირ არც ერთს ეთქმის, ეს რა უხეირო გრაფიკია, მაგრამ ძნელი მისაბეჭდიც არ უნდა იყოს, რას ფიქრობენ ისინი გულში.

ბიორკი ნიესაძე:

— პირველ თამაშს არა უშავს შვეიცარიაში შეიძლება მოგებაზე ფიქრი და შესაძლისი განწყობის შექმნა თუნდაც ის დავუშვათ, რომ სექტემბერში შეიცვალოს გაგება ჩემპიონატი და ყველა მეტოქე ფეხბურთელი კარგ ფორმაში იქნება. შეიცვალოს ხომ ჩემპიონატს ხვეა ეურიელ ქვეყნებზე ადრე იწყებს. რა თქმა უნდა, ყველასთვის მიუსაფარ და კალენდრის იდეალური ვარიანტის შედგენას დუბლინში მეოთხე ჩვენები კარ მიაბრუნებენენ. ცუდია ის, რომ ბოლო ორი მატჩის ჩატარება სტუმრად მოგვიწევს, თუმცა შესაძლოა, ეს კარგიც გამოდგეს. რუსეთამდე ჯგუფიდან გასვლის შანსი თუ შეინარჩუნეთ...

კახა კალაძე:

— ჩემთვის პირადად კალენდარს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი თამაშია და ადრე თუ გვიან შანც უნდა ითამაშო და სტუმრადაც ვანთოთ. ისე კი, ხეობდა ცოტა ინფლიანში დაგვიმთავრებია.

ზურაბ ხიზანიშვილი:

— კალენდარი საქართველოსთვის იდეალური არ არის, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ეფიქრობ, არ ღირს. კარგად თუ ვითამაშებთ, კალენდარი ხელს ვერ შეგიშლის. რაც არის, ეგაა. შესაბამისად მოშზადება გვმართებს.

ძიბა ინასარიძე

კახა კალაძე და ზურაბ ხიზანიშვილი

ოქტომბრის თეზისები

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურის მატჩში რუსეთის ნაკრებთან არ უნდა წააგოს, რადგან:

– ქართველ ერს აქვს ღირსების გრძნობა

– საქართველოს ნაკრებმა ღირებული ვერაფერი მოიგო და ამ მატჩში გამარჯვებით ფეხბურთელებს შეეძლებათ თქვან, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მაინც მოუგიათ

– რუსებმა დანანებით უნდა თქვან, რომ ევროპის ჩემპიონატზე ქართველებთან წაგების გამო ვერ მოხვდნენ

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურის მატჩში რუსეთის ნაკრებთან უნდა წააგოს, რადგან:

– საქართველოს ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი და იმავდროულად ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე რუსებმა შესარჩევი ჯგუფის ჯალენდრის შესადგენად დუბლინში თავისი თვითმფრინავით, სამადლოდ წაიყვანეს

– ჯალენდრის შედგენისას ქართულმა დელეგაციამ დაუფიქრებლად, უყოყმანოდ დაუჭირა მხარი რუსების შემოთავაზებულ ვარიანტს

–ამ ვარიანტის თანახმად, ბოლო ტურში რუსებს ქართველებისთვის უნდა ემასპინძლათ და დიდი ეჭვია, რომ ვისაც იმ დროისთვის ქულები დასჭირდებოდა, იმას უნდა მოეგო

– იმთავითვე ცხადი იყო, რომ ბოლო ტურამდე ბრძოლას რუსეთი შერჩებოდა, საქართველოს ნაკრები ჯი ადრევე გაჩერდებოდა

– საქართველო, ვაგლახ, რუსეთის ყურმოჭრილ მონად რჩება

ეჭვიანი იმედი

ეს წერილი სულ არ დაიწერებოდა, ხალხში გავრცელებული ეჭვი რომ არა. „სარბიელის“ თანამშრომელთაგან ერთიც არ დარჩა ნაცნობს თუ მეგობარს რომ არ ეკითხა: ჩვენები რუსებს მართლა აძლევენ თამაშს? იყო სატელეფონო ზარებიც. ერთი სიტყვით, რუსეთთან საფეხბურთო გარიგების თემა გვარიანი დაჟინებით ტრიალებს და ამით, რაგინდ შეურაცხყოფილად უნდა ვიგრძნოთ თავი, ფაქტს ვერსად წაუვალთ: რაკიღა ეჭვი არსებობს, ესე იგი, არსებობს საფუძველიც. თემისთვის გვერდის ავლა კი ნამდვილი სირაქლემობა იქნებოდა — ხალხი რაღაცას იმეორებს, გაზეთი კი ყურსაც არ იბერტყავს

მაგრამ, ვაგლახ, ჩვენც ხალხისა არ იყოს, მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია და მეტი არაფერი. ჩვენც, ისევე როგორც ქართველ ქომაგს, კარგად მოგვეხსენება, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი რამ ხდება ქრთამის თუ გარიგების ძალით, წარამარა ვუსმენთ კულუარული მოლაპარაკებების ისტორიებს და ამავე ამბებს ვკითხულობთ გაზეთებში, ფილმებად თუ დოკუმენტურ სიუჟეტებად ვუცქერთ ტელევიზიით და სხვა. ერთი სიტყვით, გაჯერებულნი ვართ, სიტყვა ჩაწყობა და მოსყიდვა ისევე ხშირად გვესმის, როგორც მშობელი, ძილი, ჭამა, სუნთქვა... დიახ, ცუდ დროებაში გვიწევს ცხოვრება და ამიტომაც არსებობს ეჭვის საფუძველი.

რუსეთი ის ქვეყანაა, რომელმაც ქართველების თქმით აფხაზეთი და შიდა ქართლი სამხედრო ძალის გამოყენებით წაგვართვა და რომელიც, ქართველებისავე თქმით პარტნიორია, რომელსაც იმავ ქართველებმა თავიანთი დედაქალაქის მთელი ენერგეტიკა მიჰყიდეს. ამის შემდეგ ფეხბურთისა რა უნდა გაგვიკვირდეს?

თუმცა, გთხოვთ სწორად გაგვიგოთ: კატეგორიულად ვაცხადებთ, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ! ჩვენ უბრალოდ ვმსჯელობთ იმაზე, რაზეც ხალხი უჩვენოდაც ლაპარაკობს — რუსეთთან თამაშის ჩაწყობაზე.

და ისევ ეჭვზე: ის, რომ საქართველო, რუსეთი, შვეიცარია, ალბანეთი და ირლანდია ევრო 2004-ს მე-10 ჯგუფში ითამაშებდნენ, 2002 წლის 25 იანვარს პორტუში ჩატარებულმა კენჭისყრამ გაარკვია, ხოლო 26 იანვარს, სტატიაში „მა, რუსები“ „სარბიელი“ უკვე წერდა, რომ რუსეთმა და საქართველომ ერთმანეთთან „საბჭოთა ძმობის“ გათვალისწინებით არ უნდა ითამაშონ (იქ გამოთქვამდით პირველი ფრის და მეორე „ვისაც დასჭირდება“ ვარაუდს), ხოლო როდესაც 15 თებერვალს დუბლინში, ზემოთჩამოთვლილმა ქვეყნებმა კალენდარიც მოიფიქრეს, გამოჩნდა, რომ საქართველო მოსკოვში სულ ბოლო, „რუსეთს დასჭირდება“ თამაშზე ჩასვლა დაჰყაბულებია — თან მაშინ საქართველოს დელეგაცია დუბლინს რუსებთან ძმურად გაემგზავრა.

თუმცა ბედნიერებაა ჩვენი ეჭვის პირველი ნაწილი რომ არ გამართლდა — საქართველომ პირველ შეხვედრაში რუსეთს მიუგო — მაგრამ რასაც მაშინვე, 16 თებერვლის „სარბიელში“ ვვარაუდობდით (კერძოდ ის, რომ ბოლო ტურში საქართველო უკვე უმოტივაციოდ იქნებოდა, ხოლო რუსებს ქულები დასჭირდებოდათ) ახდა და...

და ცუდ ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ეჭვებიც ცუდი იმიტომ გვაქვს. მაგრამ გვაქვს იმედიც, რომლის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები თავმოყვარე ხალხია, ხოლო მათი „ულირს ფეხბურთზე“ დაყოლიება შეუძლებელი.

ამიტომაც ეჭვს კონტრ-ეჭვს ვაჯახებთ და მატჩის დღეს ველით. გვინდა ცუდ დროებას და ცუდ ხალხს დავუმტკიცოთ, რომ ყველაფერი არც იყიდება და არც ხალხის ზურგსუკან რიგდება, გვინდა დღევანდელმა ბავშვებმა კიდევ ერთხელ არ იფიქრონ, რომ მათ ქვეყანაში მხოლოდ ცუდის კეთება ეხერხებათ.

პაპუნა კედია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

რუსეთი — საქართველო

მოსკოვი. ტორპედო. 10 ოქტომბერი. 21 საათი

ბოდიში, თქვენ გელით ფრე

დღეს, თბილისის დროით 21 საათზე მოსკოვურ „ტორპედოზე“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუსებთან მატჩით სეზონს დაამთავრებს.

არველაძემ გუშინ შეგირდები „ტორპედოს“ სათადარიგო მოედანზე ავარჯიშა, ჩვენებურთაგან ყველა ჯანზეა, არ წავაგებთო იქადნებიან, შესაძლოა, ასეც მოხდეს, რადგან ქართველთა არ წაგება რაც უნდა გასაკვირი იყოს, თავად რუსებს აწყობთ, რადგან რეგლამენტის წყალობით რუსთა გუნდს საუკეთესო მეორე ადგილისნობისთვის რაც შეიძლება მეტი ჩასათვლელი ქულა სჭირდება. არველაძის გუნდმა რომ წააგოს, ჯგუფში ბოლო ადგილზე აღმოჩნდება. ბოლოსთან კი ჩასათვლელი ქულები არ იწერება, მაგრამ თუკი ფრე იქნა „ტორპედოზე“ და შვეიცარიამ ირლანდიას ავჯობა, საქართველოს ახალგაზრდული მეოთხე ადგილზე აღმოჩნდება და რუსეთიც ხეირს ნახავს. ამიტომაც იყო, გუშინ საღამოს რუსულმა ტოტალიზატორებმა რუსეთ — საქართველოს ახალგაზრდულებზე საფრეო კოეფიციენტი 2,3-დან 1,9-მდე რომ დასწიეს.

„იზმაილოვოს“ კომპლექსში დაბანაკებულ ქართველთაგან გუშინ კომენტარი ლოკომოტიველ **ლაშა სალუქვაძეს** ვთხოვეთ.

— გუნდში ჩინებული სიტუაციაა, ყველა ჯანზეა და საბრძოლოდ ვართ განწყობილნი. არ უნდა შევრცხვეთ რუსებთან.

— **რუსეთისთვის ქულა უფრო ხელსაყრელია ამ მატჩში, ფეხბურთელებს თუ გსმენიათ ამის შესახებ.**

— კი, როგორ არა, გავიგეთ, მაგრამ არველაძემ გვითხრა, რომ რთული მატჩი გველის და რა უფლება გვაქვს, მწვრთნელს არ ვენდოთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— **სამატჩო შემადგენლობა თუ დასახელდა?**

— არა, შემადგენლობას მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გამოაცხადებენ.

ძიბა ინასარიძე *მოსკოვიდან*

რუსეთი
ლიგის თასის ფინალი
საპასუხო მატჩი
ჩერნომორეცი 2:2 ზენიტი (0:3)

ირლანდია
პრემიერლიგა
XXV ტური
დერი სიტი 1:1 კორკ სიტი

დანია
თასის II ეტაპი
სკიოლდი 1:2 ჰორსენსი

ფინეთი
თასის 1/2 ფინალი
ტამპერე 2:3 დ.დ.(2:2) ალიანსი

ესპანეთი
თასის 1/32 ფინალი
სერო რეიესი 1:7 სევილია
ლეონესა 1:0 ალბასეტე

კობა
ინასარიძე
მოსკოვიდან

საათის ისარმა თერთმეტს რომ მიუკაკუნა, მოსკოვის „ვნუკოვოს“ აეროპორტში მაშინ დაეშვა „აირზენას“ ბოინგი საქართველოს ეროვნულ-ახალგაზრდული ნაკრებებით და მათი თანმხლები, დაახლოებით 30-კაციანი დელეგაციით.

ვერ ვიტყვით, სავიზო პრობლემები წუთში მოგვარდაო, თუმცა არც დიდი დრო წაუღია. მაინცდამაინც არც რუს მებაჟეებს გამოუდიათ თავი პასპორტების ქექვით და 20 წუთში რუსეთში შესვლის ნებაც დაგვრთეს

ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ!

მოსკოვში ახლოვთ შუშაკი, რომელსაც საქართველო არ ავიწყდება

მოსკოვი ქართველობას თბილისური მზით, თუმც 7-გრადუსიანი ტემპერატურით დაგვხვდა. მზე საქართველოდან გამოიყოლეთო, ქალაქის გზაზე დამდგართ სიტყვა გამოგვაყოლეს მებაჟე ქალბატონებმა, რომელთათვისაც სულ ერთი იყო, მოსკოვს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ეწვია თუ სხვა. ჩვენზე მეტი პრობლემა მგონი მათ ჰქონდათ, ნამძინარევთ სულაც არ ეხალისებოდათ ჩვენი საბუთების წვრილ-წვრილად შემოწმება. სამაგიეროდ, დიდი ხმაურით დახვდა ქართველობას „ვნუკოვოს“ მომლოდინეთა დარბაზი, სადაც მწერალ-ტელე-ფოტო ჟურნალისტთა თვლა არ იყო — საქართველოს ნაკრებმა ზღურბლს გადააბიჯა და ჩვენი რუსი კოლეგებიც დაფაცურდნენ. ნამდვილად მოულოდნელი იყო ასეთი ინტერესი. ნაკრებს უცხოეთში ხშირად ვხლებივარ, მაგრამ მსგავსი არსად მინახავს. რუსი ქომაგი კი, ქართველ ფეხბურთელთა ავტოგრაფებისთვის რომ მოსულიყვნენ აეროპორტში, მთლად ჭურში მსხდარან — დელეგაციის ბოლო წევრის გამოჩენამდე იმედით ელოდნენ კახა კალაძეს, მიხეილ აშვეთიას და შოთა არველაძეს. საბოლოოდ მათთვის ნაცნობნი გიორგი დემეტრაძე და გოჩა ჯამარაული აღმოჩნდნენ. რუსთათვის ნაცნობი აღმოჩნდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ივო შუშაკიც, რომელიც ამავე რეისით გამოფრინდა მოსკოვში და მატჩის შემდეგ ხორვატიაში მიემგზავრება. ერთმა მაიორმა ფანმა, რუსეთის დროშაც რომ ააფრიალა, შუშაკს სამახსოვრო ფოტოს გადაღებაც სთხოვა და ხორვატი მწვრთნელი მეგობართან ერთად შუაში ჩაიყენა.

ხუთ-ათწუთიანი მოკითხვა-მისალმების, ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ავტობუსებში დანაწილდნენ და დასასვენებლად გასწიეს. ეროვნულმა ქალაქგარეთ მდებარე გოლფ-კლუბს მიაშურა, ახალგაზრდულმა კი — იზმაილოვოს კომპლექსს.



ივო შუშაკი

ივო შუშაკი კი ცოტა შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა, ეტყობოდა, რომ ასეთი დახვედრა მისთვისაც მოულოდნელი იყო. თბილისში რუსების დამჩაგრავმა რუსისგანვე დაფასება იგრძნო.

— ბატონო ივო, დაბნეული ჩანხართ...

— დაბნეული არა, ცოტა არ იყოს გაკვირვებული ვარ, მესიამოვნა მოსკოვური დახვედრა. არ მეგონა, აქ თუ მცნობდნენ, უფრო სასიამოვნო კი ისაა, საქართველოს ნაკრების მოსკოვში ჩამოსვლამ ასეთი ინტერესი რომ გამოიწვია.

— საქართველომ თავისი ისტორიული მატჩი სწორედ თქვენი ხელმძღვანელობით ჩაატარა რუსეთთან. არ გვეტყვით, რა იქნება ამჯერად?

— ახლა სხვა სიტუაციაა. აპრილის შემდეგ ორივე გუნდს მწვრთნელი შეეცვალა, მნიშვნელოვნად არა, მაგრამ გადახალისდა გუნდების შემადგენლობებიც. ამიტომაც მიჭირს გითხრათ, შაბათს რა იქნება. ერთი კი ვიცი, ჩვენთვის ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ამავდროულად უმნიშვნელოვანესია. ასე ვიტყოდი, ეს ღირსების მატჩია, თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, ქართველობისთვის მოსკოვში თამაში რამდენად ფასობს.

— თქვენი აზრით, რად ფასობს?

— ხომ გითხარით, ღირსებად. კარგი იქნება კარგი შედეგი, უფრო კარგი, კაცური თამაში.

— „ჩვენთვის ამ მატჩსო“, თქვით...

— დიახ, ჩვენთვის. რადგანაც შაბათს მე ტრიბუნაზე ვიქნები და მიუხედავად რუსული ფეხბურთისადმი ჩემი სიმპათიისა, ვისურვებ, რომ საქართველომ მოიგოს. შუშაკი საქართველოს ქომაგი იყო და ასე იქნება.

— კარგი შედეგის მისაღწევად როგორ უნდა ითამაშოს ჩვენმა გუნდმა?

— პირველ ყოვლისა ბურთი უნდა დაიჭიროს და ამით მეტოქე გაანერვიულოს. უმნიშვნელოვანესი იქნება ზუსტი პასი. რუსებს ბურთზე კონტროლის საშუალება მაქსიმალურად უნდა შეუმცირდეს. რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებმა უნდა ითამაშოს ანთებული გულითა და ცივი გონებით. კალაძისა და არველაძის არყოფნა დანაკლისია. მაგრამ ვფიქრობ, ახლა აშვეთია ძალიან კარგ ფორმაშია და მის თამაშს დიდი მნიშვნელობა ექნება.

— ნაკრების მწვრთნელებს რამეს ურჩევთ?

— არა, მოსკოვში მე ნაკრების სტუმარი ვარ.

შუშაკს რამდენიმე ქართველი ქომაგიც მიუახლოვდა, ზოგმა ავტოგრაფი სთხოვა, ზოგმა ფოტოს გადაღება და ჩვენი ინტერვიუც ასე დამთავრდა.

აქაური დროით 5 საათზე საქართველოს ნაკრებმა უკვე სრული შემადგენლობით ივარჯიშა. ჟორდანიას, გაბელიას და ჩხაიძის მეთვალყურეობით ბიჭებმა თავსხმა წვიმაში, ტუშინოს უბანში მდებარე „ოქტომბრის“ სახელობის სტადიონზე ლვარეს ოფლი



გიორგი ლომაია თუ დავით გვარამაძე ოთარ გაბელიას ჯერ ვერ გადაუწყვეტია

თვალით არ გვინახავს მიხეილ ყაველაშვილი. როგორც ვარჯიშზე გვითხრეს, ყაველაშვილის სავიზო პრობლემა მოუგვარებელი დარჩა და მიშაც მოსკოვს ამად ვერ ჩამოვიდა. ბუნებრივია, არაა არც შვეიცარიელი ფიზმომზადების სპეციალისტიც. ასე რომ, ბიჭები სწორედ ზემოხსენებულმა სამეულმა დატვირთა.

ნაკრების ვარჯიშისას რაიმე თვალშისაცემი ვერ შევნიშნე, საშინელი თქეშის მიუხედავად, ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩვეულებრივად ივარჯიშეს.

საბედნიეროდ, თვრამეტივე ფეხბურთელი ჯანზეა და საბრძოლველად შემართული, ყველაზე დიდი თავსატეხი კი ოთარ გაბელიას აქვს, ვის ანდოს კარის დაცვა, სათამაშო პრაქტიკამოკლებულ სპარტაკელ გიორგი ლომაიას თუ დინამოელ დავით გვარამაძეს, ორივეს ვარჯიშზე თავი არ დაუზოგავს, გაბელიას თქმით, ორივე კარგ ფორმაშია და გადაწყვეტილებას მხოლოდ დღევანდელი ვარჯიშის მერეღა მიიღებს.

დღეს დილით კი ჩვენი ეროვნული გუნდი „გოლფ-კლუბის“ მინიმოედანზე მოთელვისმაგვარ ვარჯიშს ჩაატარებს, საღამოს, თბილისის დროით 8 საათზე კი ჩერკიზოვოში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადაინაცვლებს. ვარჯიშის დასრულებისთანავე, სასტუმროში დაბრუნებულ გუნდს მერაბ ჟორდანია რუსეთ — შვეიცარიის მატჩს გაურჩევს, იარცევის მიერ დამოძღვრილმა „ორთავა არწივმა“ ხომ ჯგუფის ლიდერს გადაურბინა.

და ერთიც. უკვე გადაწყვეტილი და ცნობილია, ხვალინდელი რუსეთ — საქართველო „ლოკომოტივზე“ თბილისის დროით 9-ის ნახევარზე დაიწყება. ინტერესი ძალიან დიდია, რუსები გულის სიღრმეში გრძნობენ, რომ მოიგებენ, თუმც დარწმუნებულნი არ არიან და გვარიანად არიან შეშინებულნი, ემანდ ქართველებმა რამე არ მოგვწიონო. სწორედ ამიატომაც იყო, საქართველოს ნაკრების პირველ მოსკოვურ ვარჯიშს უამრავი ჟურნალისტი რომ დაესწრო.

როგორ დამთავრდება შაბათს მატჩი? რუსებს, ყოველ შემთხვევაში პირველი შთაბეჭდილება ასეთია, მხოლოდ ეს კითხვა აკერიათ პირზე. ქართველების პასუხი იცოცხლეთ, ოპტიმისტურია, ან ფრე, ან საქართველოს მოგება. სხვათა შორის, მოსკოვის ერთ-ერთ ტოტალიზატორს, ბევრისთვის მოულოდნელად, რუსეთ — საქართველოს მატჩში ფრეზე ფსონების მიღება შეუზღუდია.

და მაინც, დიდი ოპტიმიზმი რუსებს საშაბათო მატჩის წინ არ ეტყობათ, თუმც კი ყველა ამბობს, ეს პერიოდი რუსეთის ნაკრებისთვის საუკეთესოა და ფეხბურთელები სათამაშო პიკს სწორედ ოქტომბერში აღწევენო. ჩვენი რუსი კოლეგები ხშირად იხსენებენ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრას, ბოლო ტურში მოსკოვს უკრაინა ესტუმრა და შევჩენკოს გოლმა მათ გულები დაუხეთქა. თუ გახსოვთ, ის მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა და რუსეთი ჯგუფში ჩარჩა, უკრაინამ კი პლეი ოფი სლოვენიასთან დათმო. იხსენებენ შარშანწინდელ გადამწყვეტ მატჩსაც შვეიცარიასთან, რუსეთმა 4:0 რომ მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა. ახლა ამბობენ, უკრაინამ ჯგუფში ჩაგვტოვა, შვეიცარიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გვათამაშა, რას გვიქადის საქართველო?.. ჯაჭვი ლოგიკურად არ უნდა გაგრძელდეს, თორემ დავიღუპებითო. ეს კი ჩვენ ნამდვილად არ უნდა გვადარდებდეს.

30 აპრილს საქართველო – რუსეთის ისტორიულ მატჩში ისტორიული გოლი მალხაზ ასათიანმა გაიტანა. მე-11 წუთზე ვენიამინ მანდრიკინის ყარში ჩასმული თავური ლამის ასათიანის სავიზიტო ბარათად იქცა. თუმც 22 წლის უნიჭიერეს ნახევარმცველს ქართველი ქომაგი მხოლოდ ამით როდი აფასებს. ასათიანის შესაძლებლობებით თავიდანვე მოხიბლული იყო ყველა და რაოდენ საწყენია, რომ მიზეზთა გამო მალხაზს ათამაშების საშუალება არა და არ მიეცა. ეს ჯერ არა, სამწუხაროდ, მავანი დღემდე ცდილობს მისით ხელის მოთბობას...

მალხაზს მაინც იმედით ვუყურებთ. მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო ფეხბურთელად ქცეულ ასათიანს მაინც ძალუძს ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა.

მალხაზ ასათიანს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და ნაკრების გარდა სამომავლო გეგმებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა

30 აპრილს რუსთა კარში მალხაზ ასათიანის გატანილი გოლი ჩვენ ტკბილად, რუსებს მწარედ ახსენდებათ

იცოდე, რუსო, ასათიანი ვარ!

30 აპრილის მოთამაშეს გენგამი ჩაუშალეს

— ხვალ რუსეთს ეთამაშებით. რა აზრისაა ამ გუნდის კარში ისტორიული გოლის გამტანი?

— ცოტა რთულია წინასწარ რაიმეს თქმა. ჩვენთვის ამ მატჩს აზრი არა აქვს. სატურნირო ვითარება, სამწუხაროდ, აღარ გვაინტერესებს, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. რუსეთს ვეთამაშებით და ეს თავისთავად დიდი პასუხისმგებლობაა. ალბათ ვინმეს მობეზრდა კიდეც ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემსას მაინც ვიტყვი: მეტოქეს არაფერს დავუთმობ. ბოლო თამაშია და გულშემატკივრებს თავი სასიამოვნოდ უნდა დავამახსოვროთ. ეს თუ შეძელით, ძალიან გამიხარდება. კარგი იქნება, რუსეთს იმ განწყობით და ჟინით თუ ვეთამაშებით, როგორც თბილისში.

— თავად რუსებისგან რა ისმის?

— ძალიან სერიოზულად ემზადებიან. ამ მატჩით მათი ბედი წყდება და ზედმეტად მონდომებულები არიან. თუმც მინდა იცოდნენ, რომ ურთულესი ბრძოლა ელით.

— ვის გამოარჩევ რუსეთის ნაკრებიდან?

— ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ: მოსტოვოი, ტიტოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი... ალენიჩევის სახითაც დიდი ძალა დააკლდებათ. სხვებიც არ არიან ნაკლებნი.

— ცნობილია, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია. მართალია, მატჩს მანდაური ქართველებიც დაესწრებიან, მაგრამ ალბათ ამ მხრივაც ძალიან გაგიჭირდებათ...

— ცხადია, ტრიბუნებისგან ჩვენ უფრო „დავიჩაგრებით". ქართველები კი იქნებიან, მაგრამ ათჯერ მეტ რუსთან რას გააწყობენ.

— სათამაშო პრაქტიკა დღეს შენთვის ყველაზე დიდი პრობლემაა. რუსეთთან სათამაშოდ მზად ხარ?

— რა ვთქვა, არც ვიცი. პრაქტიკა მართლა მაკლია, მაგრამ არც ისეა საქმე, მთლად უთამაშებელი ვიყო. სარეზერვო გუნდში მუდმივად ვთამაშობ. გასაგებია, რომ ეს სულაც არაა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ თავს ნორმალურად ვგრძნობ.

— კლუბზე ითქვა და რას აპირებ, ისიც გვითხარი...

— სეზონის დამთავრებას დაველოდები და მერე თავად გავარკვევ ყველაფერს.

— როგორ?

— მთავარია, მსურველი კლუბი გამოჩნდეს და დანარჩენს მოვევლება. სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას შევხვდები და ჩემს მომავალზე აუცილებლად დაველაპარაკები. მესმის, რომ „ლოკომოტივში" დიდი კონკურენციაა, მაგრამ ეს ნაკლებად მაინტერესებს. მე თამაში მინდა. იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე წინადადებებს მივიღებ.

— თუ შენი მსურველი გუნდი გამოჩნდა, „ლოკომოტივი", ალბათ, მხოლოდ განათხოვრებას დათანხმდება. სხვაგვარად უთამაშებელი ფეხბურთელის კარგ ფასად გაყიდვა გაუჭირდება...

— განათხოვრება არ მაინტერესებს. თუ წასვლაა, ბოლომდე წავალ.

— რომელ ქვეყანაში გააგრძელებ კარიერას მნიშვნელობა არა აქვს?

— ეგ ჯერ არ ვიცი. მთავარია, კლუბი გამოჩნდეს, მომეწონოს და დანარჩენზე მერე დავფიქრდები.

— მსურველ კლუბთა სიმცირეს არასოდეს უჩიოდი. უთამაშებელი კი ხარ, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია, მალხაზ ასათიანს რაიმე ვარიანტი არ გამოსჩენოდა...

— იყო, მაგრამ იქედან არაფერი გამოვიდა, ხელი შემიშალეს...

— ვინ შეგიშალა ხელი?

— რამდენიმე თვის წინ ძალიან რეალური იყო ფრანგული „გენგამის" ვარიანტი. ამ ტრანსფერს ბევრი არაფერი უდგა წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიღაცას ეს ხელს არ აძლევდა.

— „ლოკომოტივმა" არ გაგიშვა თუ...

— ამაზე ლაპარაკი არ ღირს. როგორც ვიცი, დიდი თანხა მოითხოვეს, მაგრამ... არ ვიცი, ეს საქმე უკვე ჩაიშალა და გული მწყდება, რომ ყველაფერი ასე უაზროდ მოხდა.

ძახა შალამბერიძე

თუ გული გულობს, რუსეთიც შეიჭმევა

რამდენი რამ შეიცვალა იმ ლამაზი 30 აპრილის საღამოს შემდეგ, ვალერი გაზაევმა ივო შუშაკს ხელი რომ არ ჩამოართვა.

დღეს აღარც შუშაკია საქართველოს ნაკრების მწვრთნელი და აღარც გაზაევი — „ორთავა არწივის" მესაჭე. ამ ექვს თვეში საქართველომ სატურნირო მოტივაცია დაკარგა, რუსეთმა კი უფრო გაიფართოვა საპორტუგალიო გზა.

ხვალ რუსეთი — საქართველოა, მატჩი, რომლის შედეგიც ერთი შეხედვით არ უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი. თუმც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოში უფრო სჯერათ რუსთა იოლი გამარჯვების, ვიდრე რუსეთში. ფაქტია, პარადოქსული ვითარებაა. რედაქციაში რეკავენ და ყველა ერთი და იმავეს იმეორებს, რომ საქართველო იოლად გაუგორდება რუსეთს და სამ ქულას ჩაახუტებს.

ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა, ყოველივეს თავად მატჩი გამოაჩენს, თუმც მე ქომაგთა მიერ გამოთქმული ასეთი ვარაუდებისას აპრილის ოქროს საღამოს დავით კვირკველიას ნათქვამი სიტყვები მახსენდება — გულის ამოღება და მოედანზე დადება მინდოდაო — თქვა მაშინ ამ კაი ბიჭმა და არა მგონია, ამ ექვს თვეში კვირკველიას დამოკიდებულება შეცვლოდა ისეთი მეტოქისადმი, როგორიც რუსეთია. მსგავსი განწყობით იყვნენ სხვებიც. მერე რა, რომ საქართველოს დღეს სატურნირო მოტივაცია აკლია. სადაც რუსეთია, იქ მოტივაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ანუ ლოგიკურად საქართველოს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოტივაცია რუსეთთან, რადგან ასეთ დროს ეროვნულ თავმოყვარეობაზეა საქმე. ამ თაობას არაერთხელ დაუწუნეს პატრიოტიზმი, თუმც 30 აპრილს სწორედ რუსეთთან თამაში გამოჩნდა ქართველთა პატრიოტიზმი და ძნელად დასაჯერებელია, დიდი ომით მოპოვებული ასეთი ფასეულობა იგივე რუსეთთან დაკარგონ ქართველმა ფეხბურთელებმა.

რაც უფრო ახლოვდება მატჩის დღე, მით უფრო შეშფოთება ეტყობათ რუსებს. კვირის დასაწყისში რუსულ მედიას ქართველთა სატურნირო უმოტივაციობა ჰქონდათ ხელზე დახვეული. წარმოუდგენელია, რატომ უნდა გადაგვიდგეს გზაზე საპორტუგალიოდ ხელჩაქნეული გუნდიო. თუმც დღეს სხვაგვარად ჭიკჭიკებენ რუსები. კვირკველიას „გულის ამოღების" ამბავიც გაახსენდათ და ისიც იკითხეს, ჩვენ რამდენი ფეხბურთელი გვყავს მოედანზე გულის დამდები ქართველებთან მატჩშიო, იკითხეს და გაიხსენეს, რომ თბილისში არც ერთ რუსს არ წაულია ხელი გულისკენ. აქედან დასკვნეს ჩვენმა მეზობლებმა, რომ საქართველოს არა აქვს სატურნირო და ფინანსური მოტივაცია, მაგრამ აქვს ეროვნული თავმოყვარეობა და დიდი ჟინი რუსეთის გასაჩერებლად.

ვინატროთ, რომ მართლაც ასე იყოს და პორტუგალიის იქითაც წასულა რუსეთი.

რუსულ პრესას მივუბრუნდეთ. ბევრი გაზეთი გამოკითხვებს ატარებს სანაკრებო ფეხბურთელებს შორის. ამ მხრივ „სპორტ-ექსპრესი" აქტიურობს. გუშინ ამ გაზეთმა ერთნაირი კითხვებით მიმართა ნაკრების ცხრა ფეხბურთელს.

რა იყო თბილისში მარცხის მთავარი მიზეზი? — ამ კითხვას მეტ-ნაკლებად ობიექტური პასუხი ევგენი ალდონინმა, ვიქტორ ონოპკომ და ეგორ ტიტოვმა გასცეს — სათანადო განწყობა ვერ შევიქმენით, ტაქტიკური ჩავარდნა ჰქონდა ნაკრებს და თანაც გაზაფხული იყო, ის დრო, როდესაც რუსეთის ნაკრები ტრადიციულად სუსტია.

სიჩოვმა და სმერტინმა ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთო, თქვეს, კერჟაკოვმა კი განაცხადა, იმდენი დრო გავიდა, საერთოდ ვერ ვიხსენებ იმ შეხვედრასო.

რუსები თავიანთ ფეხბურთელებს იმასაც დაეკითხნენ, თუ ვის იცნობდნენ ქართველთაგან კარგად. უმრავლესობამ აშვეთია, ასათიანი და დემეტრაძე ახსენა. ტიტოვმა კი, ჩემი თანაკლუბელი ლომაია მოიცებს, ამ ბიჭს ვარჯიშებზე ვერაფრით გავუტანე გოლიო.

კითხვაზე თუ ვის შეუძლია ქართველთაგან დიდი ხიფათი შეუქმნას რუსებს, ყველამ ორი ფეხბურთელი დაასახელა — აშვეთია, დემეტრაძე.

„სპორტ-ექსპრესმა" ისიც იკითხა, რამდენ გოლს გაუტანთ ქართველებსო. მეტოქეზე ერთი მეტსო, იყო პასუხი. ბედნიერი ვიქნებით, თუ 10-ს მოვიგებთო.

„იზვესტიამ" მოსკოვში ჩასული მერაბ ჟორდანია მოიხელთა. ამ გაზეთის ჟურნალისტმა ქართველ მწვრთნელ-პრეზიდენტს უბოდიშოდ ჰკითხა, ბევრი ამბობს, რომ რუსებს დაუწვებით და ასე იქნებაო?

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა და სულაც არ მიკვირს, ამას რომ ამბობენ, თუმც საქართველოს ნაკრები არასდროს არავისთან გარიგებულა და არც არასდროს გაურიგდება ვინმეს. მერე რა, რომ კარგი ურთიერთობა მაქვს ვიაჩესლავ კოლოსკოვთან. ეს ფაქტი არანაირად არ იმოქმედებს თამაშზე. ჩვენ სპორტულ პრინციპებს არ ვუღალატებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ — თქვა ჟორდანიამ.

აქვე შევნიშნოთ, რუსეთს საქართველოს უკალაძეობა ახარებს. კალაძე ისეთივე ძალაა საქართველოსთვის, როგორც ონოპკო და იგნაშევიჩი ერთად რუსეთისთვისო, ამბობს „სპორტ-ექსპრესი".

ნუ გაიკვირვებთ და შვეიცარიელებს ქართველებზე მეტი იმედი აქვთ საქართველოს ნაკრების. ირლანდიელები რიხით ჩადიან ბაზელში და შვეიცარიულმა მედიამ თავისიანებს მარცხის შემთხვევაში საპორტუგალიო გზა მაინც დაუტოვა — ეგებ ქართველებმა არ წააგონ მოსკოვშიო.

ბაატა ძვანტალიანი



რუსები ყველაზე მეტად მიხეილ აშვეთიას და გიორგი დემეტრაძეს უფრთხიან

რონალდინიო იამაიკისთვის არ გაწირეს



კვირას, 12 ოქტომბერს, ბრაზილიის ეროვნული გუნდი ინგლისში ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ბრაზილიელები ბარსელონელ რონალდინიოს მოისაკლისებენ. ყოველივე კი კატალანიური კლუბის ექიმთა თხოვნით გადაწყდა. საქმე ისაა, რომ სამიოდ დღის წინ ესპანურ „გრამენტეტთან" სათასო დაპირისპირებისას რონალდინიომ გამარჯვების გოლის შეგდება კი შეძლო, მაგრამ ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მინდორი სამედიცინო პერსონალის დახმარებით დაეტოვებინა. ბრაზილიელი ვარსკვლავი არცთუ ისე სერიოზულად დაშავდა, თუმცა „ბარსას" ექიმთა კონსილიუმის შემდეგ ხუან ლაპორტას დირექციამ კარლოს ალბერტო პარეირას იამაიკელებთან ამხანაგური ჯახისთვის რონის მიწვევა გადააფიქრებინა. „მიუხედავად იმისა, რომ რონალდინიოს ამჟამინდელი მდგომარეობა საშიში არაა, შესაძლოა მას ტრავმა იამაიკის ნაკრებთან შეხვედრისას გაურთულდეს. მე, როგორც „ბარსელონას" მთავარ ექიმს, არ მაქვს გარისკვის უფლება. " — განაცხადა კატალონიურ „სპორტთან" საუბრისას ლუიშ ტილმა, „ბარსას" ექიმმა. ის და მისი თანაშემწეები დაძაბულად შრომობენ, რათა „კამპ ნოუს" იმედი უეფას თასზე მომავალ ოთხშაბათს პუხოვის „მატადორს" სრულ საბრძოლო ფორმაში დაუხვდეს. თუმცა ასპროცენტიან გარანტიებს ლუიში ვერ იძლევა: „რონიმ ფიზიოთერაპიის მეშვეობით ერთი-ორი დღე უნდა დაისვენოს, შემდეგ თანდათანობით სავარჯიშო ტრენაჟორებზე გადავა, მერე სირბილზე და თუ ამ დატვირთვათა დროს ტკივილი არ იგრძნო, ბურთთან თავისუფალი ურთიერთობაც შეეძლება. ვერ გეტყვით, რომ ბრაზილიელი „პუხოვთან" აუცილებლად ითამაშებს, ამის გასარკვევად კიდევ დრო მჭირდება. რაც შეეხება 19 ოქტომბრის „ბარსელონა"— „დეპორტივოს" საპრემერო შეხვედრას, იქ რონალდინიო ნამდვილად თავის საუკეთესო ფორმაში იქნება".

ლადო ხომერიკი

სად არის რომარიოს სადარი

37 წლისაა და ფეხბურთიდან წასვლაზე არ ფიქრობს. რომარიოზე მოგახსენებთ. მის ასაკში ტრავმა რომ ვინმეს მიეღო, ბუცებს ლურსმანზე ჩამოსაკიდებლად მეკობარს გაატანდა, კედლამდე მისვლა აღარ შემიძლიაო.

რომარიომ ამ წლის დასაწყისში ყატარის კლუბი „ალ საადი" შეატოვა, სადაც სამი თვე გაატარა. არაბეთიდან წამოსულმა სამშობლოს მიაშურა და „ფლუმინენსეს" შეუერთდა. მის შემადგენლობაში ბრწყინვალედ ითამაშა და ჩემპიონატში 12 გოლიც მითვალა.

უბერებელი კუსპარა აგვისტოს დასაწყისში დაშავდა. ფორვარდის გამოჯანმრთელებას ზუსტად ორი თვე დასჭირდა. უკვე მოშუშებული „პატარა და მუშა" გუნდს შეუერთდა და გუშინ „ვიტორიასთან" კიდეც უნდა ეთამაშა.

„ზოგიერთ გულშემატკივარს მიაჩნია, რომ რომარიოს წასვლის დრო მოვიდა და მას ახლა ფეხბურთში აღარაფერი ესაქმება, მაგრამ მე ვფიქრობ, ის კიდევ ბევრ გოლს გვაჩუქებს. რომარიოს დარ მოთამაშეს არაერთი გუნდი ინატრებდა" — თქვა „ფლუმინენსეს" მწვრთნელმა რენატო პორტალუპიმ.

ვაჟა ხუციშვილი

სიცოცხლე სიცოცხლის წილ

მანუელ სუარესი რიასორის მებრძოლებმა მოკლეს

„სარბიელში" უკვე გაუწყეთ ესპანეთის სამეფო თასზე „კომპოსტელასა" და „დეპორტივოს" შეხვედრის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ. მანუელ რიოს სუარესი, „დეპორის" 31 წლის გულშემატკივარი, მატჩის დროს ატეხილი არეულობისას მძიმედ დაშავდა და იქაურ ჰოსპიტალში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. სხვადასხვა სახის ძალადობა და მეტოქე გუნდების თავგახურებულ ინჩასთა გააფთრებული შეტაკებები COPA DEL REY-ს ტურნირისთვის უცხო ხილი როდია, მაგრამ „სან ლაზაროს" სტადიონზე ჩადენილი მხეცური მკვლელობა მაინც განსაკუთრებულ გულისწყრომას იმსახურებს.

ამ საქმის დეტალებს ახლა მცირედი ნათელი მოეფინა და გაირკვა, რომ „დეპორტივოს" ქომაგი მისივე თანამოძმეებმა გამოასალმეს სიცოცხლეს. ლაკორუნიელ ინჩასხულიგანთა დაჯგუფება RIAZOR BLUES წევრები ოდითგანვე სისხლიან კინკლაობათა მოყვარულნი არიან და 7 ოქტომბერსაც „სან ლაზაროზე" იქაურ გულშემატკივრებთან ნამდვილი ომი გააჩაღეს. მანუელ სუარესიც მაშინ დაიღუპა, როდესაც გაცოფებული რიასორელებიდან ახალგაზრდა საანტიაგოელი ფანის დახსნას ცდილობდა. „მოძალადემ მისი მსხვერპლის ვინაობა კარგად იცოდა. სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ ამ ამაზრზენი მკვლელობის ჩამდენი „RIAZOR BLUES" წევრია. ჯერჯერობით მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ოუმცა გამოძიება მიმდინარეობს და დამნაშვესაც მალე დავაკავებთ" — განაცხადა გალისიის პროვინციაში ესპანეთის მთავრობის წარმომადგენელმა ხოსე მანუელ პერესმა.

ტრაგედიის მთავარი თვითმხილველები დაღუპულის მეუღლე და მისი მეგობარი არიან. ახალგაზრდა ქალი ახლა შოკშია და მასთან საუბარს პოლიციამ დროებით თავი აარიდა, ხოლო მანუელის მეგობრის მონათხრობიდან კი აი, რა გახდა ცნობილი: მატჩის დასრულებისთანავე რიასორელებსა და მასპინძელი გუნდის ინჩასთა შორის ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. მავანი ყმაწვილი სანტიაგოელი „დეპორის" ფანატთა შუაგულში მოხვდა და რომ არა მანუელ სუარესი, უცილობლად გალისიელ ხულიგანთა მძვინვარებას შეეწირებოდა. მანუელმა „კომპოსტელას" გულშემატკივრის უსაფრთხო ადგილზე გაყვანა კი შეძლო, მაგრამ ეს საკუთარ სიცოცხლედ დაუჯდა. ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე (რიასორელი) ტრიბუნის ზემო რიგიდან გადმოხტა, რათა ზურგით მდგარ სუარესს ერთდროულად ორივე ფეხით მძლავრად დასჯახებოდა. საბედისწერო დარტყმის შემდეგ მანუელი წაიქცა, თუმცა მალევე წამოდგა და მეგობრის დახმარებით ინციდენტის ადგილს გაერიდა. RIAZOR BLUES „მებრძოლებმა" სუარესი იცნეს და მომხდარზე ბოდიშიც მოუხადეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. მანუელს სუნთქვა შეეკრა და ჰოსპიტალ „კლინიკო დე სანტიაგოს" დასტაქრებმაც უშედეგოდ სცადეს მისი გადარჩენა — ორი შვილის მამა სტადიონზე ატეხილ უაზრო შეხლა-შემოხლას შეეწირა.

— ეს საშინელება რადიოთი შევიტყვეთ. ჩვენი ოჯახისთვის არც ერთ ოფიციალურ უწყებას ამის შესახებ ტელეფონითაც კი არ უცნობებია. სად იყო სტადიონის დაცვა იმ შეტაკების განმავლობაში?! განა, ასე ძნელია ერთი მუჭა ხულიგნების დაშოშმინება, რომ ფეხბურთის საყურებლად წასული ადამიანი შინ კუბოთი არ დაგიბრუნონ?! მკვლელსაც და „სან ლაზაროს" დირექციასაც ვეკითხები — ვინ შეძლებს ჩემი ძვირფასი შვილის გაცოცხლებას? — შემაძრწუნებელი კითხვით მიმართა მარია ხოსეპა სუარესმა EFE-ს ტელევიზიის ჟურნალისტებს. რა თქმა უნდა, მომხდარი საშინელებით გაოგნებულ დედას ამაზე ვერავინ უპასუხებს, მაგრამ RIAZOR BLUES ჰაპრაშს კი (ყოველ შემთხვევაში, „ოფიციალურ დონეზე" მაინც) ბოლო მოეღო — ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს, ამ დაჯგუფებამ თავის საინტერნეტო ვებგვერდზე თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. „ჩვენ ძალადობის მოწინააღმდეგენი ვართ და ვერ დავუშვებთ, რომ მკვლელობის ფაქტის შემდეგ ორგანიზაციამ არსებობა გააგრძელოს" — ნათქვამია გალისიელ ვაიმეომართა საბოლოო განცხადებაში.

ლადო ხომერიკი

გაფიცვა დასრულდა

დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ

ინგლისის ნაკრები თურქეთს გაემგზავრა — ფეხბურთელთა გაფიცვა დამთავრებულია. ნაკრების ოცდაოთხივე მოთამაშემ განაცხადა, რომ თურქეთის გუნდთან უპრინციპულესი შეხვედრის ჩაშლა აზრადაც არ ჰქონია, ხოლო გაფიცვის გამომწვევ მიზეზს სტამბოლის მატჩის შემდეგ დაუბრუნდება



გაფიცვის შეწყვეტა რით ფერდინანდმა ითავა

განცხადება, რომელშიც ეს ყველაფერი წერია ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნდა, თუმცა სანამ მასზე ვიტყოდეთ, გაფიცვისა და ვნებათაღელვის მიზეზი გავიხსენოთ: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ეროვნული გუნდისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველს, რიო ფერდინანდს, 23 სექტემბერს ჩატარებულ დოპინგ-ტესტზე დადებითი პასუხი მოუვიდა ანუ ფეხბურთელს დოპინგი მიღებული ჰქონდა და იგი შეკრებიდან გამოიწვია.

ინგლისის ნაკრების ფეხბურთის ასოციაციის ასეთი საქციელი ფერდინანდის უფლებათა დარღვევად მიიჩნიეს (ფერდინანდის დოპინგ-საქმეს განხილვა, ხელმეორე ტესტირება და საბოლოო დასკვნა აკლია) და კოლეგის შეკრებაზე დაბრუნება მოითხოვეს. ერთი სიტყვით, გაიფიცნენ, თან სტამბოლში უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ.

მაგრამ გაფიცვა შეწყდა. როგორც ირკვევა, მეგობრებს თავად ფერდინანდმა დაურეკა და ვარჯიშისკენ აღდგენისკენ მოუწოდა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის ასოციაციამ ერთი ნაბიჯით უკანაც დაიხია — დოპინგზე ტესტირების სისტემა დასახვეწი გვაქვსო — ხოლო თურქეთის ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა, თუ ინგლისელები ფერდინანდს ჩამოიყვანენ და ათამაშებენ, ხმის ამომღები არ ვართო.



ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა სვენ გორან ერიკსონს გუნდი სავარჯიშოდ მიუყვანა

საინტერესოა, რომ ამ საკითხზე ხელი უეფამაც დაიბანა. კერძოდ, ევროპული ფეხბურთის ცენტრიდან შემოთვალეს, რომ ფერდინანდის დასჯასთან არაფერი ესაქმებათ და მეტიც, დოპინგი ინგლისის ჩემპიონატის კი არა, ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგაც რომ აღმოეჩინათ, საქმე მაინც არ იქნებოდა. ერთადერთი, უეფა საკითხში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა, თუ ფეხბურთელს საერთაშორისო თამაშებსაც აუკრძალავენ.

რაც შეეხება ფეხბურთელთა განცხადებას, იქ ყველაფერი ისე წერია, როგორც ჩვეულებრივ ოფიციალურ დოკუმენტში. წერია მათი განაწყენების მიზეზი, მათი რწმენა, რომ ფერდინანდს უფლებები არ უნდა შეუზღუდონ, რომ მათ კარგად ესმით თურქეთთან შეხვედრის მნიშვნელობა და ის, რომ ამ შეხვედრაში მწვრთნელის და ქომაგების ღალატი არ შეიძლება, სვენ გორან ერიკსონს პირადად უხდიან ბოდიშს და ამგვარები.

ხოლო ინგლისის ნაკრების ვეტერანმა ფეხბურთელმა, მაგალითად ვეფ ჰერტსმა და ალან ბოლმა ახლანდელები შეეჯორეს — კარგი ბიჭობა და ძმობა მოედანს და ეროვნულ გუნდს გარეთ გაგვიგიაო.

პაპუნა კედია

სტამბოლში ჭიანჭველამ დაბადების მოწმობა აიღო

სტამბოლის პოლიცია ცდაახლოებით ისეთ რეჟიმში იმუშავებს, ზღაპარში რომ იყო. ხვალ დილიდან ქალაქის „ფენერბაჰჩეს“ უბანში თურქი სპეცრაზმელების შიშით დაბლა უსაბუთო ჭიანჭველა ვერ გაივლის, მაღლა კი ლუდისბოთლიანი ინგლისელი ვერ გადაფრინდება.

სტამბოლის მერია და უშიშროების სამსახურის ჩინოსნები მთელი კვირა საკუთარ ნაგიყარ ქომაგებს ყველა საშუალებით აფრთხილებენ, ნებისმიერი მცირე შეტაკების შემთხვევაში მატჩი შეიძლება ჩაიშალოს, უეფა კი მკაცრად დაგვსჯისო. ამიტომ სამ-სამ ჭიქა ჩაიზე მეტი არ დალიოთ და „შუქრი სარაჯოღლუზე“ მთვრალები ნუ მობრძანდებითო.

პოლიციამ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია დაინაწილა. ოსმალო და ინგლისელი გულშემატკივრები ერთმანეთს გარეთაც უნდა ააცილონ და, ცხადია, ტრიბუნებზეც შუაში ჩაუდგებიან.

სპეცრაზმელები საგანგებო ინსტრუქციით იმოქმედებენ. ფანები რამდენიმე მინი-საბაჟოს გაივლიან. ნებისმიერი სახიფათო საგნის, ქოლგის, ბოთლის, ხის, რკინისა და სხვა ნივთების შეტანაზე არც კი უნდა იოცნებო. ჰამბურგერ-ქაბაბებიც კი გარეთ უნდა შეჭამონ, რათა ტრიბუნაზე ლეჭვისას შემთხვევით გვერდზე მჯდომს ყბა არ მოარტყან.

გარდა ამისა, სტამბოლის მერმა თვისტომებს ურჩია, მოხეტიალე ინგლისელს თუ გადაეყრებიან, მოერიდონ, მერიამ საამმატჩოდ 5000 პოლიციელი მოამზადა და „შუქრი სარაჯოღლუს“ მოვლა-პატრონობა დააკისრა.

ინგლისელმა და თურქმა პოლიციელებმა ურთიერთობა ააწყვეს. ისინი ლონდონისა და სტამბოლის აეროპორტში ბრიტანელი ხულიგნების დაკავებას შეეცდებიან. შფოთისთავი ბიჭების სურათები და სიგრძე-სიგანე ინგლისელებმა თურქ კოლეგებს გაუგზავნეს და აეროპორტში დიდი ჩხრეკვა იქნება, რადგან ოსმალო პოლიციელებს დაახლოებით 1000 შფოთისთავის სიფათი აქვს.

რომან თურქია

გლაზგოში ვერ ჩაყვინთავთ!

ფოგთსმა ლიტვას ბანდა უწოდა

შოტლანდიის ნაკრების მზადებაზე გუშინ მცირედი მოგახსენეთ, დღეს კი ორიოდ სიტყვით ლიტვაზეც ვთქვათ. ბალტიისპირელებმა აპრილში სქოთებს შინ (1:0) სძლიეს და ევროპელთა ყურადღება მიიპყრეს. შოტლანდიელთა გერმანელ მწვრთნელ ბერტი ფოგთსს ვილნიუსური მარცხი მწარედ ახსოვს. მაშინ, ფოგთსის აზრით, მასპინძლებმა პენალტი მსახიობობით მოინადირეს, რითაც მეტოქეს ძვირფასი ქულები დააკარგვინეს.

ლიტვურ პრესაში გერმანელის ნათქვამი გამოაქვეყნეს, რომელშიც სქოთთა თავკაცი მოწინააღმდეგეს „მყვინთავთა ბანდას“ უწოდებდა. ფოგთსს აპრილი ჯერ არ დავიწყებია და სარევანშოდ ემზადება.

ლიტველთა მთავარ მწვრთნელს კი პრობლემები შუა ხაზში აქვს და გლაზგოში სუსტი ნახევარდაცვის კომპენსირებას შეტევის გაძლიერების ხარჯზე აპირებს, თან ბერტი ფოგთსს ემუქრება: „ჩვენ კვლავ გვსურს შოტლანდიელთა მუხლების მოსინჯვა კონტრშეტევებისას. ვინ იცის, ეგებ მათ საჯარიმოში ერთი თერთმეტმეტრიანი კიდევ გამოვჩარხოთ და მოვიგოთ“. — თქვა ალგიმანტას ლუბინსკასმა.

ლიტველები ჯგუფში მეოთხე ადგილზე არიან და პლეი ოფში მოხვედრის შანსი არა აქვთ, მაგრამ საომრად კი ემზადებიან. ბალტიისპირელებს ტრავმირებული ჰყავთ ნახევარმცველი იგორ მორინასი, რომელმაც ფარერებთან ბოლო მატჩში წყვილი გოლი მითვალა. ლუბინსკასს ტომაშ რაჟანაუსკასი და გინტარას სტაუჩე დაუბრუნდებიან. თუმცა ნახევარმცველები — ედგარას ჩესნაუსკისი, ტომას ტამოსაუსკასი და დეივიდას შემბერასი დისკვალიფიცირებულნი არიან და გლაზგოში ვერ ითამაშებენ.

ვაჟა ხუციშვილი

ბერტი ფოგთსი

გამოიცან, რომელია?

ალბანელმა ალბანელს მატჩის ჩაწყობა დაუბრალა

რით ჰგავს საქართველო ალბანეთს და პირიქით? როგორც აქ, ისე იქ, ჩაწყობილი მატჩების სენი ხშირად ტრიალებს. ამჯერად ალბანელებმა ორი თავისი კლუბი მეტოქესთან გარიგებაში დაადანაშაულეს. ბრალდება ქუჩაში მოხეტიალე გულშემატკივრისგან კი არა, თვით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან მოდის, რომელმაც ტირანის „დინამოსა“ და „ვლაჟნიას“ აგვისტოს ცოდვები გამოუჩხრიკა.

14 აგვისტოს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები გაიმართა. „დინამომ“ ბელგიურ „ლოკერენთან“ 0:4 წააგო, „ვლაჟნიამ“ კი შოტლანდიურ „დანდისთან“ — 0:2. ფედერაციას რატომღაც ეგონა, რომ მათ კლუბებს უკვეთესად უნდა ეთამაშათ, მაგრამ მოულოდნელად პირწმინდად დამარცხდნენ. ეჭვიც სწორედ აქედან მოდის. ალბანური საინფორმაციო სააგენტო „ბეტას“ ცნობით, საქმე უკვე პროკურორის მაგიდაზე დევს.

ფეხბურთის ფედერაციის აზრით, „დინამოს“ და „ვლაჟნიას“ პატრონებმა მატჩები დათმეს და ევროპულ ტოტალიზატორებში გვარიანი თანხა მოხსნეს.

საინტერესოა, რომ „დინამოს“ თამჯდომარე მიხაილ დელიოჯი ერთ-ერთი ტოტალიზატორის მფლობელია. იგი არ დაბნეულა და ფედერაციის ჩინოვნიკებს იქით შეუტია — ევრო 2004-ის შესარჩევ ტურნირში რამდენიმე მატჩი თქვენ თვითონ გაყიდეთ(ნეტავ რომელს გულისხმობს?) და ჩვენ რას გვერჩითო.

ამ ამბავში უკვე უეფაც ჩაერია და გამოძიებაც დაიწყო.

ვაჟა ხუციშვილი

იაფი სასმელი მილიონერთათვის



20 წლის გოგო ჯოდი მორისმა და ლეგენდარული დეტექტივის ვაჟმა გააუპატიურეს

შემთხვევის ადგილი

ვინც ინგლისური გაუპატიურებების საკითხებში გათვითცნობიერდით, იოლად მიხვდებით, ქვემოთ რომელ დანაშულზე და რას მოგახსენებთ, ხოლო ვინც არ იცის რა ხდება, მოკლედ გეტყვით, რომ ბოლო ხანს ინგლისში, პრემიერლიგის ფეხბურთელთა მონაწილეობით ორი ქალი შეურაცხყვეს. ერთი, 17 წლისა ლონდონში, ხოლო მეორე, 20-ისა ლიდსში. ჩვენი დღევანდელი წერილი ლიდსის ამბავს ეხება

გაირკვა, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ეს საქმე ჩაიდინა, „ჩელსიში" ნათამაშევი ჯოდი მორისია. იგი დღეს „ლიდს იუნაიტედის" ღირსებას იცავს... თუ ლახავს. თუმცა მორისი მარტო არ ყოფილა. თუ გახსოვთ, წინა წერილში ვახსენეთ მავანი მოქალაქე, რომელიც ბურთაობაში არასდროს შეუმჩნევიათ. ეს ადამიანი ჯოდი მორისის ლონდონელი ძმაკაცი, 26 წლის კრისტოფერ დიკი ყოფილა და ვგონებთ, სწორედ მისი, უფრო სწორად კი მამამისის პიროვნებაა მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო. რაც შეეხება კიდევ ორ ლიდსელ მოთამაშეს, ისინი არაფერ შუაში ბრძანებულან, გარდა იმისა, რომ შესაძლოა მოწმეებად გამოდგნენ.

მორისი და დიკი ლიდსელ პოლიციელებს დაკითხვის ოთახში კანონით გათვალისწინებული 24 საათის მანძილზე ჰყავდათ შეყვანილი, თუმცა, როდესაც ეს 24 საათი ამოიწურა, კანონისავე ძალით სამართალდამცავებმა კიდევ 12 საათიანი დაკითხვის ნებართვა ითხოვეს და მიიღეს კიდეც.

ახლა კი კრისტოფერ დიკის მამაზე, რომელზეც მოგახსენეთ, რომ ამ ისტორიის მონაწილეთა შორის ყველაზე საინტერესო პიროვნებაა — თავად კრისტოფერ დიკი ინჟინერია და მორისთან „ჩელსის" დროიდან მეგობრობს. ბატონი ჯიმ დიკი კი ინგლისის პოლიციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამშრომელია, დეტექტივთა მთავარი ინსპექტორი გახლავთ და „მფრინავ რაზმს" ხელმძღვანელობს. მის სახელთან ქვეყნის ყველაზე დიდ კრიმინალურ საიდუმლოთა ამოხსნაა დაკავშირებული. კერძოდ, იორკის პრინცესას ფარეშის ჯეინ ენდრიუს დანაშაული, საყვარლის მკვლელობა მისი გამოძიებულია, ისევე როგორც 20 წლის წინანდელი მისტერია — ლონდონელი მოხელის სუზი ლამპლაფის გაუჩინარების საქმე. ვაზუსტებთ: ეს გაუჩინარება 20 წლის განმავლობაში საიდუმლოდ რჩებოდა და მხოლოდ ჯიმ დიკის ერთი შეხედვით მეტისმეტად გვიანმა გამოძიებამ მოჰფინა ნათელი.

ჯიმ დიკიზე ყველანი ერთსა და იმავეს ამბობენ: იგი უპატიოსნესი, კარგი, ვაჟკაცი ადამიანია, ხოლო, როგორც დეტექტივი შესაძლოა უკვე ლეგენდარულადაც მოვიხსენიოთ. რაც შეხება ვაჟის ნავაჟკაცევზე მის კომენტარს, იგი მოკლე გამოდგა: „ვერაფერს ვიტყვი, რადგან არავინ დამკავშირებია და არაფერი მოუყოლიათ".

ახლა, ორიოდ სიტყვით თავად გაუპატიურებაზე, ეს ამბავი ორშაბათს ეგრეთ წოდებულ „სტუდენტთა ღამეს", იაფი ლოთობის საათებში მოხდა. აგიხსნით: ლიდსში ჩვეულებად აქვთ, ერთ რომელიღაც ღამეს სტუდენტებს (და არა ფეხბურთელებს) სასმელი იაფად მიჰყიდონ. ერთი სიტყვით, თრობის ღამეა. მორისი და დიკიც იქ ლოთობდნენ, შემდეგ კი — დაზარალებულის მონაყოლის თანახმად, — ახალგაცნობილ ქალთან (სწორედ რომ დაზარალებულთან) ერთად მორისის სახლისკენ გაემართნენ, ოღონდ გზაში (ქალაქგარეთ) მანქანა გააჩერეს და ქალზე ძალა იხმარეს.

კომენტარისთვის ინგლისის ყვითელი ჟურნალისტები ჯოდი მორისის დედას, სანდრას შინ ესტუმრნენ, მან კი, ვინ ხართ, არაფერი ვიცი.

პაპუნა კედია

ჯიბეები მოიქექეთ, ბიჭებო!

ჩემპიონის პანღური 20 ათასი ლირს

პრემიერლიგის დისციპლინარებმა პანღურის ამბავი გაარჩიეს. სოლ კემპბელისა და ერიკ ჯემბა-ჯემბას წიხლაობა „მანჩესტერისა" და „არსენალის" მატჩში მოხდა. 10 აგვისტოს კარდიფში „წითელი ეშმაკები" „მეთოფეებს" წინასასეზონო „ჩარითი შილდისთვის" შეერკინენ. შეხვედრა ფრედ დასრულდა და თასი ალექს ფერგიუსონის ბიჭებს პენალტებით ერგოთ. თამაშის დროს სოლ კემპბელს ერიკ ჯემბა-ჯემბამ ფეხი ატაკა და არსენალელმაც საპასუხოდ წიხლი ჰკრა. შეხლა მსაჯის ჩარევით დასრულდა და ორივე ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დაასაჩუქრა.

მოედანზე დატრიალებული ამბავი ნამატჩევს ვიდეოფირზე დაწვრილებით განიხილეს. შედეგად „მეთოფე" დაადანაშაულეს და თითქმის ორი თვის თავზე დისციპლინარები მომხდარის გასარჩევად შეიკრიბნენ. ამასობაში სოლ კემპბელს მამა გარდაეცვალა და რამდენიმე პრემიერლიგური შეხვედრა გამოტოვა.

მსაჯულთა კომიტეტმა ლონდონელი დისკვალიფიკაციისთვის არ გაწირა და ოდენ 20 ათასი გირვანქით დააჯარიმა. „ამ საქმის მოსმენისას ბევრი ნიუანსი გავითვალისწინეთ. თავიდან კემპბელს ძალადობის მუხლი მივუყენეთ, მაგრამ ვითარება სხვაგვარად შემობრუნდა. ფეხბურთელმა თავისი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა, ამიტომ მხოლოდ ფულადი ჯარიმა ვაკმარეთ, იმ პირობით, რომ მომავალში იგივეს არ გაიმეორებს" — განაცხადა დისციპლინართა წარმომადგენელმა.

სოლ კემპბელი ჯერ კიდევ 16 აპრილს, „ჰაიბერიზე" „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში გააძევეს. მაშინ მან ოლე გუნარ სოლსკიაერს კეფაში იდაყვი ჩაჰკრა. ამის გამო „მეთოფემ" გასული სეზონის ბოლო ოთხი მატჩი გამოტოვა.

პრემიერლიგის პირველ ტურში არსენალელმა „ევერტონთან" შეხვედრაში კვლავ იუხეშა, რისთვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს და ეს სასჯელი უკვე მოიხადა. „მეთოფეთა" მცველი ამჟამად ინგლისის ნაკრებშია გამოძახებული და სათურქეთოდ ემზადება. დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილება რომ შეიტყო, დაჯარიმებულმა კლუბის ვებგვერდზე მოკლედ განაცხადა: „საპრეტენზიო არაფერი მაქვს".

მსაჯულებმა სხვებისთვისაც მოიცალეს. „პორტსმუთის" მწვრთნელ ჰარი რედნაპს აგვისტოს მატჩი გაუხსენეს, როცა მისი გუნდი სტუმრად „ვულვერჰემპტონს" შეხვდა და უგოლო ფრით დაუზავდა. რედნაპი მაშინ მეოთხე მსაჯს, ლი მეისონს აუხირდა, რისთვისაც კუთვნილი ადგილიდან გააძევეს. „პორტსმუთის" თავკაცს 3 ათასი გირვანქის გადახდა დაეკისრა და ორი მატჩით ტრიბუნაზე გადანაცვლებაც უბრძანეს.

დისციპლინარებმა გასულ აპრილში „ვესტ ჰემისა" და „ბოლტონის" თამაშისას მომხდარი ამბავიც გაარჩიეს. „ჩაქუჩთა" მცველი რუფუს ბრევეტი „ბოლტონის" ნახევარმცველ კევინ ნოლანს ეჩხუბა, მერე კი პოლიციის ოფიცერს მისდგა. ასეთი საქციელისთვის „ვესტ ჰემის" მოჩხუბარს 1000 გირვანქა აართვეს.

ვაჟა ხუციშვილი

იტალია

სერია B II ტური

ასკოლი 0:1 ჯენოა
0:1 კორდონე (68)

ატალანტა 0:0 ვენეცია

ლივორნო 3:0 მესინა
1:0 კიელინი (11), 2:0 ლუკარელი (19), 3:0 პროტი (25)

პალერმო 1:1 პიაჩენცა
1:0 ტონი (63), 1:1 ბეგეტო (89)

პესკარა 0:0 ფიორენტინა

ტერნანა 2:0 ვერონა
1:0 სკარლატო (16), 2:0 ძამპანა (22)

ტორინო 0:1 სალერნიტანა
0:1 ბოგდანი (77)

ტრევიზო 2:1 ალბინოლეფე
0:1 არაბონი (20), 1:1 კიაპარა (52), 2:1 ანაკლერიო (72)

ტრიესტინა 2:1 აველინო
1:0 პეკორარი (45), 2:0 ნოზელი (68), 2:1 ტისკი (78)

ვიჩენცა 1:1 ბარი
1:0 ბ. ბაჯო (54), 1:1 კორდოვა (63)

ტერნანა	7	5	1	1	11:4	16
ატალანტა	7	4	3	0	10:4	15
ლივორნო	7	4	2	1	11:5	14
კატანია	7	4	1	2	12:8	13
ტორინო	7	4	1	2	9:5	13
ტრევიზო	7	3	4	0	8:4	13
ტრიესტინა	7	3	3	1	10:8	12
პალერმო	7	3	3	1	8:6	12
კალიარი	7	3	2	2	13:6	11
პიაჩენცა	7	2	4	1	7:6	10
ვერონა	7	2	3	2	9:10	9
ალბინოლეფე	7	2	2	3	6:7	8
სალერნიტანა	7	2	2	3	5:7	8
პესკარა	7	2	2	3	5:8	8
ასკოლი	7	2	2	3	4:7	8
ვიჩენცა	7	1	4	2	6:7	7
ფიორენტინა	7	1	4	2	5:6	7
ჯენოა	7	2	1	4	3:6	7
ვენეცია	7	1	3	3	3:7	6
ნაპოლი	6	0	5	1	4:5	5
ბარი	7	1	2	4	8:12	5
კომო	7	1	2	4	5:12	5
მესინა	7	0	4	3	5:12	4
აველინო	6	0	2	4	3:8	2

მამა მაგათი და სხვა ბუნდესმამები

ფელიქს მაგათიმ თავისი სიტყვა „შტუტგარტის“ ბუნდესლიგაშიც თქვა და ჩემპიონთა ლიგაშიც. ორივე ფრონტზე ეს კაცი ძლიერია. გერმანიის ჩემპიონატში გუნდს გოლი არ გაუშვია, ლიგაში კი თვით „მანჩესტერ იუნაიტედს“ სძლია. არის კიდევ მესამე ფრონტი, და მაგათის თავი არც იქ შეურცხვენია. მისი წარმატების საიდუმლო ოჯახიდან იწყება. „შტუტგარტის“ მწვრთნელი მალე მეექვსე ბავშვის მამა გახდება.

ყველაფერში რეკორდსმენი კაცის მეუღლე ნიკოლა ხუთი თვის ფეხმძიმეა. ამჟამად დედა ჰამბურგში ცხოვრობს. ნიკოლამ ფელიქსს ორი ბიჭი უკვე აჩუქა. ლეონარდი 5 წლისაა, რაფაელი კი ორის.

მაგათის პირველი ცოლი შტეფანი გახლდათ. მასთან ურთიერთობა კაცმა 1997 წელს გაწყვიტა და სამი შვილი დაუტოვა: იანინა 23 წლისაა და კილის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობს. ვიქტორია (21) ჰამბურგში ბიოლოგიურ მეცნიერებას ეუღლება, ხოლო კონსტანტინი (15) ჯერ სკოლის მოსწავლეა.

ფელიქს მაგათი შვილებს ხშირად ხვდება და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. ხან ბავშვები აკითხავენ შტუტგარტში, ხან კი ჰამბურგში მამა სტუმრობს.

ორი გოგო და სამი ბიჭი უკვე ჰყავს, მეექვსე ვინ იქნება? „შტუტგარტის“ მწვრთნელს სქესი ნაკლებად აღელვებს: „ჯერ არ ვიცით, მაგრამ მთავარია, ჯანმრთელი იყოს. ბავშვი ხომ ცხოვრების ყველაზე ძვირფასი საჩუქარია!“

ფელიქს მაგათი ბუნდესმამების ცხრილში ექვსი შვილით პირველ საფეხურზეა.

მეორე-მეოთხე ადგილებს კარლ ჰაინც რუმენიგე, ფრანც ბეკენბაუერი და რაინერ კალმუნდი იყოფენ, ოღონდ რუმენიგეს ხუთივე შვილი ერთმა ქალმა აჩუქა. მეხუთე ადგილი ბუნდესნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ რუდი ფიოლერს (ოთხი შვილი) ერგო, მაგრამ ნაკრებს მეხუთე შვილად თუ მივათვლით, ყველაზე ძნელად აღსაზრდელი სწორედ ფიოლერს შეხვედრია.

ვაჟა ხუციშვილი



მიხაელ როტმა საქმე საბოდიშოდ გაიხადა

დაგხოცავთ!

ნიურნბერგის პრეზიდენტს ნიურნბერგის პროცესი არ ახსოვს?

რა უნდა იღონოს კლუბის პრეზიდენტმა, როცა მისი გუნდი ზედიზედ რამდენიმე მატჩს წააგებს? ფეხბურთელთა მოსათვინიერებლად რამდენიმე ხერხი არსებობს. ერთნი ხელფასების შემცირებით იმუქრებიან, მეორენი მწვრთნელს გამოცვლიან, ან გუნდს ახალი მოთამაშეებით გააძლიერებენ. მეორე ბუნდესლიგის „ნიურნბერგის“ პრეზიდენტმა მიხაელ როტმა ორიგინალურ ხერხს მიაგნო. მან თავისი მოთამაშეები ჯერ არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა, უგულოდ თამაში დასწამა და ბოლოს საჯაროდ დაემუქრა: „მე პისტოლეტი მაქვს და ყველაზე მეტად ახლა მსურს, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს ტყვიით შუბლი გავუხვრიტო!“

მუქარამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ყურამდე მიაღწია, ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა თქვა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო. „კლუბების პრეზიდენტებს მსგავსი გამოხტომები არ ეკადრებათ, ამიტომ შემდგომშიც იგივე რომ არ განმეორდეს, როტს გვარიანი თანხით დავაჯარიმებთ“.

„აფეთქების“ მეორე დღეს „ნიურნბერგის პრეზიდენტი დამშვიდდა და ბოდიში მოიხადა: „ჩემი ნათქვამი სერიოზულად არ უნდა აღიქვათ. ეს მხოლოდ ჭარბი ემოციების ბრალი იყო“.

„ნიურნბერგის“ ოდინდელი პატრონი ედგარ გინაც მთლად დალაგებული არ გახლდათ. იგი თავის ფეხბურთელებს „ნეხვს“ და „ნაძირლებს“ ხშირად ეძახდა. ამ კლუბში არსებულ ვითარებაზე არაერთ მოთამაშეს დაუჩივლია. მაგალითად, „ნიურნბერგის“ ყოფილმა არგენტინელმა ლეგიონერმა მარტინ მანდრამ გუნდში მხოლოდ ორი თვე დაჰყო, რადგან იქაურები რასისტული რეპლიკებით ამკობდნენ და ძაღლად არ აგდებდნენ. ჰოდა, მანდრამაც გუდა-ნაბადი აიკრა და სამშობლოში გაიქცა.

ვაჟა ხუციშვილი

მილანის „ინტერმა“ თითქოს კარგად დაიწყო სეზონი, მაგრამ გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ცოტა თუ იყო. მილანურ დერბიში უშანსო წაგების შემდეგ კი „შავ-ლურჯებს“, განსაკუთრებით, მათ მწვრთნელ ექტორრაულ კუპერს, ტიფოზებისა და პრესისგან კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. თუმცა კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი კვლავ ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს და ყველას მოთმინებისკენ მოუწოდებს

კუპერის უფასო ადვოკატები

მორატიმ და მატერაციმ არგენტინელი ჯბილებით დაიცვეს



მარკო მატერაცი

„ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ფეხბურთელებს უნდა სჯეროდეთ მწვრთნელის და პირიქით. ეს იქნება პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. საჭიროა, რომ მოთამაშეებმა საკუთარ თავზე აიღონ თავიანთ შეცდომებზე პასუხისმგებლობა და ყველაფერი კუპერს არ დაბრალდეს. ფეხბურთელები სულაც არ არიან უდანაშაულონი იმაში, რაც ხდება და რაც კერძოდ მილანურ დერბიში მოხდა. თამაში ხომ სწორედ მათ დათმეს. ჩემი აზრით, რაღაცაში ყველა დამნაშავეა. ამიტომ ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი ერთად უნდა ვიპოვოთ“ — განაცხადა მორატიმ.

შემდეგ „ინტერის“ პრეზიდენტმა გულშემატკივართათვის უფრო დამაიმედებელი განცხადებები გააკეთა და კვლავ ნდობა გამოუცხადა კუპერს. თუმც კი დააყოლა, ასეთი რამ მეორედ აღარ მოხდესო („მილანთან“ უსუსურ თამაშზეა ლაპარაკი).

მასიმო მორატი: „მჯერა, რომ არის გამოსავალი და მას მალე მივაგნებთ. თუმცა მოვლენებეს რეალურადაც შევხედოთ. სიტუაცია კატასტროფული არ არის, მაგრამ არც დამაკმაყოფილებელია და იმედია, მწვრთნელი მალე გამოასწორებს ვითარებას — კუპერმა და გუნდმა ერთად უნდა იმუშაონ, რათა სწორ გზაზე დავდგეთ და შევეცადოთ, ამ ჩემპიონატში სკუდეტო მოვიგოთ. დერბიში წაგებამ ეგებ ჩვენზე კარგადაც იმოქმედოს. როგორც იცით, შეცდომებზე სწავლობენ. თუმც იმედია, ასეთი რამ აღარ განმეორდება, თორემ რეაქცია უკვე ორმაგად მძაფრი იქნება და გადამჭრელი ზომების მიღება მოგვიწევს. აქვე არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ჩემპიონთა ლიგა, სადაც საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს შევხვდით და ორჯერვე მოვიგეთ“.

კუპერს ადვოკატი გამოუჩნდა „ინტერის“ ერთ-ერთი ლიდერისა და იტალიის ნაკრების ახალგაზრდა მცველ მარკო მატერაცის სახით, რომელმაც მთელი გუნდის სახელით დაიცვა არგენტინელი მწვრთნელი.

„ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ და წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ერთ პიროვნებაში არ უნდა ვეძებოთ. პრესისთვის კრიტიკის მთავარი ობიექტი კუპერია, რაც ნამდვილად დიდი შეცდომაა. არადამაკმაყოფილებელ თამაშში მთლიანად გუნდია დამნაშავე. იმედია, მალე ყველაფერი შეიცვლება და კუპერი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს თავის მაღალ პროფესიონალიზმს“ — აღნიშნა მატერაციმ.

ბოლოს კი თავად კუპერსაც მოვუსმინოთ, რომელიც გუნდის უფროსობას აიმედებს, ამ სეზონში ერთ-ერთ ტიტულს მაინც გამოვკრავ ხელსო და „მილანთან“ წაგებულ მატჩზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

„მართალია, ჯერჯერობით მთლად კარგად ვერ გამოვიყურებით, მაგრამ მჯერა, რომ ამ სეზონში სკუდეტოს ან ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია. „მილანთან“ წაგებული მატჩის მიუხედავად, რომელშიც ალბათ მე მიმიძღვის ბრალი, მჯერა ჩვენი სიძლიერისა. გარდა ამისა, მინდა დიდი მადლობა მოვუხადო კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის, რომელიც ყოველმხრივ მხარში მიდგას“ — განაცხადა კუპერმა.

გიორგი კაკაბაძე

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარგებელი: კრეკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური						
		11 ოქტომბერი						
19.00	001	ბრედფორდი-იფსვიჩი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	002	დერბი-უიგანი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	003	როტერჰემი-მილუოლი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური						
		10 ოქტომბერი						
23.45	008	ბრისტოლი-პიტერბრო	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
23.45	009	პარტლეული-უენსდი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
		11 ოქტომბერი						
16.30	010	ოლდჰემ-ჰორტ ვეილი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
19.00	011	ბრაიტონი-გრიმსბი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
19.00	012	კოლჩესტერი-ბლეკპული	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
19.00	013	ლუტონი-უიკომბი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
19.00	014	ნოტსი-ბორნმუთი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.00	015	პლიმუთი-ტრანმერი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
19.00	016	რაშდენი-ჩესტერფილდი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
19.00	017	სუინდონი-სტოკპორტი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
		ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური						
		11 ოქტომბერი						
17.00	021	მანსფილდი-დონკასტერი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
19.00	022	ბოსტონი-ჩელტენჰემი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
19.00	023	კემბრიჯი-ბერი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
19.00	024	დარლინგტონი-როუერხი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	025	ჰადერსფილდი-ტორკი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
19.00	026	კიდერმინსტერი-საუთენდი	1,95	3,3	3,4	1,22	1,23	1,67
19.00	027	ლეიტონი-სუინსი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
19.00	028	მენსფილდი-იორკი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
19.00	029	ოქსფორდი-იოვილი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
19.00	030	რიჩდეილი-ნორთჰემპტონი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
19.00	031	სკანთორპი-ლინკოლნი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
		12 ოქტომბერი						
19.00	032	ჰალი-კარლაილი	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
	033	ჰალი-კარლაილი 0:1	1,75	3,3	2,9			
		ინგლისი. კონფერენსი. XIV ტური						
		11 ოქტომბერი						
19.00	047	აკრინგტონი-ფარნბორო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
	048	აკრინგტონი-ფარნბორო 0:1	2,2	3,2	2,3			
19.00	049	ალდერშოტი-ჰალიფაქსი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
19.00	050	ჩესტერი-უოკინგი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
19.00	051	ექსეტერი-ნორთვიჩი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
19.00	052	ფორეჭტ გრინი-ბარტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	053	მარგეიტი-ლეი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
19.00	054	მორეკომბი-გრეთესენდი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
19.00	055	სტივენეიჯი-სკარბორო	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
19.00	056	ტემეორთი-ბარნეტი	3,0	3,3	2,1	1,57	1,23	1,28
		13 ოქტომბერი						
23.45	057	ჰერეფორდი-ლაგ ენდ რედი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი						
		11 ოქტომბერი						
16.00	061	ალოა-ერდრი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
		შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი						
		11 ოქტომბერი						
17.00	063	სტირლინგი-მონტროზი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
	064	სტირლინგი-მონტროზი 0:1	2,05	3,2	2,45			
		გერმანია. რეგიონალიგა (ჩრდილოეთი). XI ტური						
		10 ოქტომბერი						
22.00	065	ვატენშაიდი-ლაიპციგი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
22.00	066	ბრაუნშვაიგი-კიელნი(მ)	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.30	067	ზტ.პაული-დორტმუნდი(მ)	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
		11 ოქტომბერი						
17.00	068	მუნსტერი-ნოიმიუნსტერი	1,5	3,4	4,4	1,04	1,11	1,91
17.00	069	კილი-ესენი	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
17.00	070	ურდინგენი-ვერდერი(მ)	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
17.00	071	ვუპერტალი-პადერბორნი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
		12 ოქტომბერი						
17.00	072	დინამო-შალკე(მ)	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
17.00	073	ჰამბურგი(მ)-ქემნიცი	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
		გერმანია. რეგიონალიგა (სამხრეთი). XI ტური						
		10 ოქტომბერი						
21.30	077	შტუტგარტი(მ)-ერფურტი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23	1,54
22.00	078	ჰოფენჰაიმი-ზაარბრუკენი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
22.00	079	მაინცი(მ)-ვეენი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35
		11 ოქტომბერი						
17.30	080	აუგსბურგი-აალენი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
17.30	081	ელვერსბერგი-ბაიერნი(მ)	2,8	3,3	2,2	1,51	1,23	1,32
17.30	082	ფულენდორფი-შეაინფურტი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
17.30	083	ფოიხტი-კაიზერსლაუტერნი(მ)	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
17.30	084	ქემნიცერი-ზოგენი	2,2	3,3	2,8	1,32	1,23	1,51
17.30	085	ოფენბახი-კიკერხი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		ჰოლანდია. II დივიზიონი. X ტური						
		10 ოქტომბერი						
23.00	155	დენ ბოსხი-დორდრეხტი	1,35	4,2	7,0	1,02	1,13	2,62
23.00	156	კამბერი-ამელდონი	2,2	3,4	2,7	1,33	1,21	1,5
23.00	157	ვენლაბი-ვენლო	2,9	3,5	2,05	1,58	1,2	1,29
23.00	158	გრაფსხაფი-ემენი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
23.00	159	ექსელსიორ-პერეკლესი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
23.00	160	ჰაარლემი-სიტარდი	2,7	3,5	2,15	1,52	1,19	1,33
23.00	161	ეინდჰოვენი-ოსი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
23.00	162	ჰაარლემი-ოფლსი	3,0	3,5	2,05	1,61	1,21	1,29
		შვედეთი. სუპერლიგა. XXVIII ტური						
		12 ოქტომბერი						
17.00	181	ბიოდენსი-ალვესლანდერგი	2,0	3,5	3,0	1,27	1,2	1,61
18.00	182	ასარიტა-ხალვია	1,15	4,8	8,0	1	1	3
18.00	183	�ვარდი-ბრომაპოიკარნა	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
18.00	184	ფალკენბერგი-იფკ ალმჰი	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
18.00	185	გუფლე-ოპერა	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
		13 ოქტომბერი						
22.00	186	ნორში

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	355	საფრანგეთი-ისრაელი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	356	საფრანგეთი-ისრაელი 0:1	1,5	3,6	3,6			
		ევრო 2004. 21 წლამდე. შესარჩევი მატჩები.						
		10 ოქტომბერი						
16.00	365	სომხეთი(21)-ესპანეთი(21)	6,0	3,8	1,45	2,32	1,16	1,04
18.30	366	ნორვეგია(21)-ლუქსემბურგი(21)	1,01	12,0	25,0	1	1	8,1
18.30	367	ბოსნია(21)-დანია(21)	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
19.00	368	ხორვატია(21)-ბულგარეთი(21)	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
19.00	369	ბელგია(21)-ესტონეთი(21)	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
19.00	370	ავსტრია(21)-ჩეხეთი(21)	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
20.00	371	თურქეთი(21)-ინგლისი(21)	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
21.00	372	საბერძნეთი(21)-ჩრდ.ირლანდია(21)	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.00	374	შვეიცარია(21)-ირლანდია(21)	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
22.00	375	უნგრეთი(21)-ბელორუსი(21)	1,75	3,4	3,8	1,15	1,19	1,79
22.00	376	შვედეთი(21)-ლიტვა(21)	1,15	5,2	12,5	1	1,05	3,67
23.30	377	იტალია(21)-აზერბაიჯანი(21)	1,01	12,0	25,0	1	1	8,1
23.30	378	უელსი(21)-სერბია(21)	3,8	3,4	1,75	1,79	1,19	1,15
23.30	379	შოტლანდია(21)-ლიტვა(21)	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
23.30	380	გერმანია(21)-ისლანდია(21)	1,05	7,5	17,0	1	1	5,2
01.15	381	პორტუგალია(21)-სლოვაკეთი(21)	1,15	5,3	12,5	1	1,05	3,72
		11 ოქტომბერი						
18.00	382	საფრანგეთი(21)-ისრაელი(21)	1,15	5,3	12,5	1	1,05	3,72
18.00	383	პოლანდია(21)-ძოლდოვა(21)	1,15	5,3	12,5	1	1,05	3,72
18.00	384	კვიპროსი(21)-სლოვენია(21)	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		ამხანაგური მატჩები						
		11 ოქტომბერი						
15.00	402	რუმინეთი-იაპონია	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
19.00	403	ფინეთი-კანადა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
19.00	404	უკრაინა-საუდიანია	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
01.00	405	პორტუგალია-ალბანეთი	1,15	5,3	12,5	1	1,05	3,72
		12 ოქტომბერი						
19.00	406	ბრაზილია-იამაიკა	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
		მს. ქალები (აშშ)						
		11 ოქტომბერი						
24.00	424	აშშ-კანადა	1,3	4,6	7,5	1,01	1,1	2,85
		12 ოქტომბერი						
22.00	425	გერმანია-შვეიცარია	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93
		ჰოკეი. რუსეთი						
		10 ოქტომბერი						
14.00	1009	ავანგარდი-სუპერსტალი	1,3	6,0	5,0	1,06	1,03	2,72
14.00	1010	ხიმკი-ამკ	2,7	5,0	1,75	1,75	1,06	1,29
14.00	1011	აკ ბარსი-ლოკომოტივი	2,05	4,6	2,35	1,41	1,09	1,55
14.00	1012	ნეფტეხიმიკი-ტორპედო	1,25	6,0	6,0	1,03	1,03	3
14.00	1013	ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი	1,75	5,0	2,7	1,29	1,06	1,75
14.00	1014	სიბირი-ლადა	2,5	4,6	1,9	1,61	1,07	1,34
		11 ოქტომბერი						
14.00	1015	აჩერი-ცსკა	2,2	4,6	2,2	1,48	1,1	1,48
14.00	1016	დინამო-მაგნიტოგორსკი	1,35	5,3	4,8	1,07	1,05	2,51

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. ჩეხეთი.						
		10 ოქტომბერი						
20.00	1034	ვსეტინი-პლზენი	2,2	4,2	2,3	1,44	1,48	
20.00	1035	ტრინეცი-ლიბერეცი	1,4	4,8	4,8	1,08	1,08	2,4
20.00	1036	პარდუბიცე-ბუდეიოვიცე	1,2	6,5	7,0	1,01	1,02	3,37
20.00	1037	კლადნო-ვიტკოვიცე	2,2	4,2	2,3	1,44	1,12	1,48
20.30	1038	ლიტვინოვი-სლავია	2,4	4,2	2,1	1,52	1,12	1,4
20.30	1039	კარლოვი ვარი-ზნოიმი	2,2	4,2	2,3	1,44	1,12	1,48
20.30	1040	სპარტა-ზლინი	1,6	4,6	3,5	1,18	1,09	1,98
		ჰოკეი. სლოვაკეთი.						
		10 ოქტომბერი						
20.00	1063	მარტინი-კოშიცე	2,9	4,2	1,8	1,71	1,11	1,26
20.00	1064	ნიტრა-ტრენჩინი	5,3	4,8	1,35	2,51	1,07	1,05
20.00	1065	პოპრადი-მიკულაში	1,85	4,0	2,9	1,26	1,12	1,68
20.00	1066	ზვოლენი-სკალიცა	1,35	4,8	5,3	1,05	1,07	2,51
20.00	1067	ჟილინა-სლოვანი	2,3	4,0	2,25	1,46	1,13	1,44
		ჰოკეი. გერმანია						
		10 ოქტომბერი						
22.30	1086	პანთერი-ნიურნბერგი	2,3	4,2	2,2	1,48	1,12	1,44.
22.30	1087	მანჰაიმი-მიერლონი	1,45	5,0	4,2	1,12	1,07	2,28
22.30	1088	ინგოლშტადი-პამბურგი	2,35	4,2	2,15	1,5	1,12	1,42
22.30	1089	ფრანკფურტი-კასელი	1,7	4,6	3,1	1,24	1,09	1,85
22.30	1090	დიუსელდორფი-აისბარენი	2,35	4,2	2,15	1,5	1,12	1,42
22.30	1091	აუგსბურგი-ფრაიბურგი	1,45	5,0	4,2	1,12	1,07	2,28
		ჰოკეი. ფინეთი						
		10 ოქტომბერი						
20.30	1173	ესპოო-ესტი	1,4	5,0	4,6	1,09	1,07	2,39
		რაგბი						
		მსოფლიოს თასი						
		10 ოქტომბერი						
15.00	1301	ავსტრალია-არგენტინა	1,1	20,0	5,3	1,04	1	4,18
	1302	ავსტრალია-არგენტინა 0:14	1,8	10,0	1,8			
		11 ოქტომბერი						
08.30	1303	ახ.ზელანდია-იტალია	1,0	25,0	20,0	1	1	11,11
	1304	ახ.ზელანდია-იტალია 0:55	1,8	10,0	1,8			
12.00	1305	საფრანგეთი-ფიჯი	1,04	25,0	10,0	1	1	7,14
	1306	საფრანგეთი-ფიჯი 0:25	1,8	10,0	1,8			
14.30	1307	ირლანდია-რუმინეთი	1,01	25,0	17,0	1	1	10,11
	1308	ირლანდია-რუმინეთი 0:45	1,8	10,0	1,8			
17.00	1309	ს.აფრიკა-ურუგვაი	1,0	25,0	20,0	1	1	11,11
	1310	ს.აფრიკა-ურუგვაი 0:60	1,8	10,0	1,8			
		12 ოქტომბერი						
13.00	1311	უელსი-კანადა	1,05	25,0	9,0	1	1	6,61
	1312	უელსი-კანადა 0:20	1,8	10,0	1,8			
15.00	1313	შოტლანდია-იაპონია	1,01	25,0	14,0	1	1	8,97
	1314	შოტლანდია-იაპონია 0:43	1,8	10,0	1,8			
17.00	1315	ინგლისი-საქართველო	1,0	25,0	25,0	1	1	12,5

ფორმულა 1. იაპონია. 11 ოქტომბერი. (24.00)

4001 ბამარჯვებული		სამეული		მეოთხეული		4002 უსწრ. ფრ.
მ.შუმახერი	2,4	4101	1,25	4201	1,1	2,6
ბარიჩელო	6,5	4102	1,9	4202	1,2	5,3
რაიკონენი	4,8	4103	1,8	4203	1,2	5,0
მონტოია	3,0	4104	1,3	4204	1,15	2,6
კულტჰარდი	20,0	4105	4,0	4205	1,5	15,0
რ.შუმახერი	5,0	4106	1,5	4206	1,2	3,0
ალონსო	20,0	4107	4,0	4207	1,45	12,0
ტრული	30,0	4108	5,0	4208	1,6	18,0
ბატონი	100,0	4109	20,0	4209	3,0	75,0
ვილნევი	125,0	4110	30,0	4210	4,4	100,0
ფიზიჩელა	150,0	4111	40,0	4211	6,0	150,0
პანისი	100,0	4112	20,0	4212	3,4	100,0
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	2,3	50,0
ფრენცენი	150,0	4114	40,0	4214	6,0	150,0
ჰაიდფელდი	150,0	4115	40,0	4215	5,3	150,0
და მატა	125,0	4116	30,0	4216	3,6	100,0
უილსონი	150,0	4117	40,0	4217	5,3	100,0
ფირმანი	250,0	4118	60,0	4218	12,0	250,0
ფერსტაფენი	500,0	4119	100,0	4219	18,0	500,0
კიეხა	750,0	4120	150,0	4220	24,0	500,0

4301 გამარჯვებული ბუნდი	
ფერარი	1,7
მაკლარენი	5,0
უილიამსი	1,4
რენო	12,0
ზაუბერი	75,0
ბარ	55,0
ჯორდანი	90,0
ტოიოტა	55,0
იაგუარი	50,0
მინარდი	300,0

რომელ ტაიმში ბავშვ მეტი გოლი

			I-ში	თან.ერთად II-ში
		11 ოქტომბერი		
21.00	5501	ბოსნია-დანია	3,0	2,3	2,0
22.00	5502	თურქეთი-ინგლისი	3,0	2,8	2,0

ბაიბანის თუ არა ერთმა ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		11 ოქტომბერი		
21.00	5301	ბოსნია-დანია	1,65	1,95
22.00	5302	თურქეთი-ინგლისი	1,65	1,95

რომელი ბუნდი ბახსნის მატჩში ანბარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი ზაბეულად ჩაითვლება)

		11 ოქტომბერი	
21.00	5401	ბოსნია-დანია	2,0	1,8
22.00	5402	თურქეთი-ინგლისი	1,8	2,0

რამდენი გოლი ბავშ მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		11 ოქტომბერი		
21.00	5201	ბოსნია-დანია	1,8	1,8
22.00	5202	თურქეთი-ინგლისი	1,3	1,8

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				11 ოქტომბერი							
21.00	5101	ბოსნია-დანია	4,4	10,0	20,0	5,3	4,4	4,4	20,0	10,0	3,5
22.00	5102	თურქეთი-ინგლისი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2

1 ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ოქტომბერი						
21.00	5001	ბოსნია-დანია	3,5	2,1	2,7	1,31	1,52	1,18
22.00	5002	თურქეთი-ინგლისი	2,8	2,1	3,4	1,19	1,53	1,29

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

I ეტაპის IX ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე	47
2	გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე	44
3	ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე	43
4	ჭანტურია სოსო კობას ძე	41
5-9	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	39
5-9	მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე	39
5-9	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	39
5-9	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	39
5-9	ნიკლაური მაია ინგურის ას	39
10-17	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას	36
10-17	გვინჩიძე გურამ ვალერის ძე	36
10-17	გორელაშვილი დავით გურამის ძე	36
10-17	მეზურნიშვილი დავით გივის ძე	36
10-17	მჭედლიშვილი ილია კობას ძე	36
10-17	ნიპარიშვილი ზურაბ გიორგის ძე	36
10-17	რეხვიაშვილი პაატა ომარის ძე	36
10-17	ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე	36
18-19	ოთარაშვილი მამუკა ნოშრევანის ძე	34
18-19	ციცვიძე იური ვლადიმერის ძე	34
20-29	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	33
20-29	ასრიაშვილი დავით გიას ძე	33
20-29	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე	33
20-29	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	33
20-29	სამხარაძე ვეფხვია შოთას ძე	33
20-29	სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე	33
20-29	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	33
20-29	ცომაია რევაზ პეტრეს ძე	33
20-29	ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე	33
20-29	ხაბაზაშვილი გიორგი დომენტის ძე	33

I ეტაპის X ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1-2	გორელაშვილი დავით გურამის ძე	44
1-2	ქარქაშაშვილი სერგო არჩილიჩ ძე	44
3	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	43
4	ვეშაპიძე გია შოთას ძე	42
5	ოსიაშვილი ამირან ილიას ძე	41
6-8	ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე	39
6-8	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	39
6-8	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე	39
9	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე	38
10-20	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	36
10-20	ბედოშვილი რევაზ ნიკოლოზის ძე	36
10-20	ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე	36
10-20	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე	36
10-20	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	36
10-20	ჟღენტი მალხაზ ნიკოლოზის ძე	36
10-20	სალუქვაძე ზაზა რეზოს ძე	36
10-20	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	36
10-20	ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე	36
10-20	ჩოფიკაშვილი კობა გიორგის ძე	36
10-20	ცომაია რევაზ პეტრეს ძე	36
21-25	გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე	34
21-25	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	34
21-25	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	34
21-25	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	34
21-25	ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე	34

ამ კვირის კალენდარი

6 ოქტომბერი — გაზეთი „ახალი ვერსია", 1 ეტაპის მე-11 ტური და მე-2 ეტაპის 1 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები)

7 ოქტომბერი — ჟურნალი „ულტრა", 1 ეტაპის მე-12 ტური და მე-2 ეტაპის 2 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები), 1 ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები

7 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი", 1 ეტაპის მე-11 და მე-12 ტური

8 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი", მე-2 ეტაპის მე-3 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები), მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

9 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი", მე-2 ეტაპის მე-4 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები), მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა 10 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

10 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი", მე-2 ეტაპის მე-3 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები)

11 ოქტომბერი — გაზეთი „სარბიელი", მე-2 ეტაპის მე-4 ტური სამ ვარიანტად (უეფას თასის განმეორებითი შეხვედრები)

საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", ვოსტანიას ქ.№37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი", მინისქელეშ გადასასვლელი მუზიანის მხარეს.
2. მეტრო „უნივერსიტეტი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოგებაშვილი" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ლერმონტოვი" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელი ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. ბარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე სასადგუროს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ბუბალაშვილის №13 (ავთო გადიბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)
ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში.

საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

II ეტაპი, III ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 14.10.03

შტამპის

ადგილი

II ეტაპი, III ტური

ჩაბარების ბოლო ვადაა 14.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა		20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა	
21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.		21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.	
21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი		21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი	
21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა		21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა	
21.45	15.10	სოშო - მიუპა		21.45	15.10	სოშო - მიუპა	
22.00	15.10	მიოლდე - ლეირა		22.00	15.10	მიოლდე - ლეირა	
22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი		22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი	
23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.		23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.	

II ეტაპი, III ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა		20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა	
21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.		21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.	
21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი		21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი	
21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა		21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა	
21.45	15.10	სოშო - მიუპა		21.45	15.10	სოშო - მიუპა	
22.00	15.10	მიოლდე - ლეირა		22.00	15.10	მიოლდე - ლეირა	
22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი		22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი	
23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.		23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.	

II ეტაპი, III ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა		20.30	15.10	გროცლინი - ჰერტა	
21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.		21.00	15.10	ესბიერგი - სპარტაკი მოს.	
21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი		21.00	15.10	ჟილინა - უტრეხტი	
21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა		21.00	15.10	გრაცერი - ვოლერენგა	
21.45	15.10	სოშო - მიუპა		21.45	15.10	სოშო - მიუპა	
22.00	15.10	მიოლდე - ლეირა		22.00	15.10	მიოლდე - ლეირა	
22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი		22.00	15.10	ტრაბზონი - ვილიარეალი	
23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.		23.15	15.10	მტკ - დინამო ხორ.	

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში", მის ფილიალში და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 15 ოქტომბერს)

ყურადღება! სათასო შეხვედრებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითადი დროის ანგარიში

საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი

მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქულა
1	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	253(15-39-15-36-36-25-28-39-39-36)
2	ვეშაპიძე გია შოთას ძე	250(28-31-36-29-36-26-38-36-31-42)
3	გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე	244(20-33-36-23-33-23-36-28-44-34)
4	ციცვიძე იური ვლადიმერის ძე	241(15-20-42-31-36-20-36-31-34-31)
5-6	გორელაშვილი დავით გურამის ძე	240(31-36-23-15-33-23-34-26-36-44)
5-6	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე	240(23-35-0-0-31-20-36-29-47-39)
7-8	ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე	238(23-29-36-23-35-33-31-29-43-31)
7-8	ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე	238(28-39-34-31-36-20-38-29-31-28)
9	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	235(23-23-49-26-33-18-31-23-30-43)
10	ნიკლაური მაია ინგურის ას	232(23-23-20-37-33-23-34-33-39-33)
11	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	230(23-30-36-26-34-29-31-26-31-39)
12	ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე	229(28-41-23-26-36-23-44-26-25-28)
13-14	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას	228(28-18-18-34-37-25-34-28-36-31)
13-14	ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე	228(31-28-38-29-36-26-28-28-30-36)
15	კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე	226(26-28-33-34-31-23-31-23-33-36)
16	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	225(33-23-0-0-33-23-36-31-33-36)
17	ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე	224(18-36-36-31-33-20-31-29-28-23)
18	გომარელი გიორგი მურმანის ძე	222(15-23-31-42-30-15-34-28-31-26)
19	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	221(25-21-36-26-23-20-39-34-28-33)
20-21	მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე	220(23-33-41-28-30-25-42-26-23-38)
20-21	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე	220(23-26-30-28-30-25-42-26-23-38)
22	ფაცია გიორგი მურმანის ძე	219(23-25-36-18-39-13-28-37-28-26)
23	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	217(25-26-28-31-34-20-20-13-39-34
24	მორჩილაშვილი პალიკო სევერიანეს ძე	216(20-39-28-31-36-21-26-26-28-2 .8)
25-27	გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე	215(30-15-15-31-33-36-28-23-26 -31)
25-27	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	215(18-20-28-31-28-34-28-29-3 ,1-34)
25-27	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	215(18-28-23-28-33-15-33-31 -39-15)

შედეგების გავარკვევა შეიძლება 16 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე ვ ვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია *10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი*

ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ!

ქართველები აღთქმულ მიწაზე

რამდენიმე საათიც და, შორეულ ლამაზ ქალაქ სიდნეიში დაიწყება დიდი სანახაობა, რომელსაც საქართველოში და ბევრგან ამდენი თვე ელოდა სპორტის ქომაგთა ერთი გამორჩეული ჯასტა. ავსტრალია მთელი მონდომებით და სრული მზადყოფნით მასპინძლობს მსოფლიოს მეხუთე სარაგბო ჩემპიონატს, ანუ მსოფლიოს თასს – ასე ითქმება რაგბის ენაზე.

ავსტრალია უკვე დაირაზმა საქომაგოდ

მსოფლიოს თასს ერთი საფუძვლიანი პრეტენზია აქვს — საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შემდეგ კალიბრით მესამე სპორტულ შეჯიბრებად ითვლებოდეს. ამის წინააღმდეგ, ალბათ, არც თქვენ წახვალთ, არა? თანაც ეს ტურნირი, რომელიც 44 თამაშს მოიცავს, თვენახევარი გასტანს და თუკი ძალზე კირკიტა არ ბრძანდებით, მოსაწყენ თამაშებს ერთ-ორს თუ აღმოაჩენთ.

ერთი სიტყვით, წინ გველის ექვსკვირიანი სანახაობა, რომელიც ქართველებისთვის სანახაობაზე მეტია — ალბათ, საკუთარი სიამაყის გამოვლინების საშუალებაა, მსოფლიოსთვის და პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის, დავარდნილი ქართველი ერისთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამის დამტკიცებაა — რომ ჩვენც შეგვიძლია შუშის კედლის განგრევა და საუკეთესოებში გარევა. ქართველ მობურთალთა ნაკრები პირველად გავიდა დიდ არენაზე — მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ადამიანებით დასახლებულ მსოფლიოში მგლური კანონები მოქმედებს, სუსტი უნდა დამარცხდეს და რაგბშიც ყველა კბილებს აწკაპუნებს. თუმცა კი მსოფლიოს მეხუთე თასის 20 მონაწილეში ერთადერთი დებიუტანტი საქართველო თვალურმა სამყარომ საკმაოდ თბილად მიიღო. ბორჯღალოსნებს, ანუ უცხოურად „ლელოებს“ არც შინ აკლიათ ხალხისგან ქომაგობა, თუმც ავსტრალიაში ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქიდან მისული ქართველები იქაურებმა ომიდან დაბრუნებული შვილებივით მიიღეს. ჩვენი პირველი მეტოქე, გოროზი ინგლისიც — თუმც წინ ბევრი საშინელი ჯახი ელის — მაინც უძლიერეს შემადგენლობას გამოიყვანს ბორჯღალოსანთა წინააღმდეგ 12 ოქტომბერს, რითაც ჩვენს მიმართ პატივისცემას გამოხატავს. დაგვიყვავა უცხოურმა პრესამაც — „ქართველები ინგლისელებთან მატჩის დაწყებამდე გამარჯვებულები არიან“ — წერს პოპულარული სარაგბო საიტი „პლანეტ-რაგბი“. ყველამ იცის, საქართველოსთვის მსოფლიოს თასზე ყოფნა, უბრალო მონაწილეობაც კი გამარჯვებაა და ბორჯღალოსნებიც მხარზე უცხოთა მეგობრულ ხელს გრძნობენ, რაც ნიშნავს — „მიდით, ბიჭებო, ითამაშეთ!“

ბორჯღალოსნებს არცა აქვთ ჯგუფიდან გასვლის მისხალი პრეტენზიაც კი. ჩვენი ჯგუფი ვთქვათ A ჯგუფივით სიკვდილისა არაა, მაგრამ დანარჩენ ორთან შედარებით აქ მაინც მძლავრი გუნდები შეიყარნენ. სამი ბობოლადან ერთ-ერთი, ალბათ, სამოა, ჯგუფში ჩარჩება, რაც შეეხება A ჯგუფს, აქ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ და მასპინძელ ავსტრალიასთან ერთად ორი ქვემძლავრი ნაკრები ირლანდია და არგენტინა მოხვდა. ამათგან ერთ-ერთი უდიდესი იმედგაცრუებით დატოვებს მწვანე ლონტინენტს. ასეთ კომპანიაში თავის გამოჩენის რკოსხელა შანსიც არა აქვთ ჩვენს „მოსისხლე“ რუმინელ „მუხის ფოთლებს“.

მსოფლიოს თასს კი ავსტრალია — არგენტინის ალბათ გვარიანი სანახავი ჯახი გახსნის. მატჩი ტურნირის გახსნის ცერემონიიდან ასე საათნახევარში იწყება და ჩვენი დროით დაახლოებით ოთხის ნახევარზე ტელეკომპანია „იმედი“ აჩვენებს.

ლამაზ მსოფლიოს თასს და ბორჯღალოსანთა ერთ გამარჯვებას გისურვებთ, ქომაგებო.

ირაკლი ფირაზვილი

საქართველო მსოფლიოს თასზე მონაწილეობითაც ბედნიერია

ჯგუფური ეტაპის მატჩები		ქალაქი	ადგილი
10 ოქტომბერი	ავსტრალია — არგენტინა	სიდნეი	15.30
11 ოქტომბერი	ახალი ზელანდია — იტალია	მელბურნი	9.30
	ირლანდია — რუმინეთი	გოსფორდი	12.00
	საფრანგეთი — ფიჯი	ბრისბენი	14.30
	სამხრეთ აფრიკა — ურუგვაი	პერთი	17.00
12 ოქტომბერი	უელსი — კანადა	მელბურნი	13.00
	შოტლანდია — იაპონია	თაუნსვილი	15.00
	ინგლისი — საქართველო	პერთი	17.00
14 ოქტომბერი	არგენტინა — ნამიბია	გოსფორდი	14.30
15 ოქტომბერი	ფიჯი — აშშ	ბრისბენი	12.00
	იტალია — ტონგა	კანბერა	14.30
	სამოა — ურუგვაი	პერთი	17.00
17 ოქტომბერი	ახალი ზელანდია — კანადა	მელბურნი	14.30
18 ოქტომბერი	ავსტრალია — რუმინეთი	ბრისბენი	11.00
	საფრანგეთი — იაპონია	თაუნსვილი	14.00
	სამხრეთ აფრიკა — ინგლისი	პერთი	17.00
19 ოქტომბერი	უელსი — ტონგა	კანბერა	13.00
	ირლანდია — ნამიბია	სიდნეი	15.00
	საქართველო — სამოა	პერთი	17.00
20 ოქტომბერი	შოტლანდია — აშშ	ბრისბენი	14.30
21 ოქტომბერი	იტალია — კანადა	კანბერა	14.30
22 ოქტომბერი	არგენტინა — რუმინეთი	სიდნეი	15.30
23 ოქტომბერი	ფიჯი — იაპონია	თაუნსვილი	15.00
24 ოქტომბერი	ახალი ზელანდია — ტონგა	ბრისბენი	12.30
	ს. აფრიკა — საქართველო	სიდნეი	15.00
25 ოქტომბერი	ავსტრალია — ნამიბია	ადელაიდა	11.00
	იტალია — უელსი	კანბერა	13.30
	საფრანგეთი — შოტლანდია	სიდნეი	15.30
26 ოქტომბერი	არგენტინა — ირლანდია	ადელაიდა	11.30
	ინგლისი — სამოა	მელბურნი	13.30
27 ოქტომბერი	იაპონია — აშშ	გოსფორდი	12.30
28 ოქტომბერი	საქართველო — ურუგვაი	სიდნეი	12.30
29 ოქტომბერი	კანადა — ტონგა	უოლონგონგი	12.30
30 ოქტომბერი	ნამიბია — რუმინეთი	ლონცესტონი	13.00
31 ოქტომბერი	საფრანგეთი — აშშ	უოლონგონგი	12.30
1 ნოემბერი	შოტლანდია — ფიჯი	სიდნეი	9.00
	სამხრეთ აფრიკა — სამოა	ბრისბენი	11.30
	ავსტრალია — ირლანდია	მელბურნი	13.35
2 ნოემბერი	ინგლისი — ურუგვაი	ბრისბენი	11.30
	ახალი ზელანდია — უელსი	სიდნეი	13.35

A ჯგუფი
ავსტრალია
არგენტინა
ირლანდია
რუმინეთი
ნამიბია

B ჯგუფი
საფრანგეთი
შოტლანდია
ფიჯი
იაპონია
აშშ

C ჯგუფი
ინგლისი
ს. აფრიკა
სამოა
ურუგვაი
საქართველო

D ჯგუფი
ახ.ზელანდია
უელსი
იტალია
ტონგა
კანადა

ავსტრალიამ კაცი დაკარგა

დღეს სიდნეიში მსოფლიოს მეხუთე თასს მასპინძელი „ვოლაბები“ და არგენტინელი „პუმები“ გახსნიან. ამ მატჩისთვის „ვოლაბებმა“ ვეტერანი მცველი და დამრტყმელი სტირლინგ მორტლოკი დაკარგეს. მორტლოკს გასტრიტი შეყრიაია და მანაც იძულებით გამოტოვა ნაკრების 2 ვარჯიში. არადა მორტლოკმა სულ ახლა ხანს მხრის მძიმე ტრავმა მოიშუშა და ერთომ მოწადინებული ელოდა დებიუტს. მის შემცვლელად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა ვეტერანი მეთიუ ბერკი დააყენა, ვინც თავის დროზე „ვოლაბების“ დამრტყმელიც ყოფილა.

ავსტრალია: როჯერსი, სეილორი, ბერკი, ფლეტლი, როფი, ლარკემი, გრეგანი (კაპ), ლაიონსი, ვუ, სმიტი, შარპი, გიფინი, ბაქსტერი ქენონი, იანგი

მარძაში: ბოლი, დარვინი, ვიკერმანი, კოკბეინი, ვიტეკერი, ფიტუ, ტუკირი

არგენტინა: კორლეტო, ნუნეს პიოსეკი, მ. კონტეპომი, ორენგო, ალბანესე, ფ. კონტეპომი, პიჩოტი (კაპ), ლონგო, მარტინი, ფელანი, ალბასეტე, ლობე, გრაუ, ლედესმა, ჰასანი

მარძაში: მენდესი, რეჯიარდო, ალვარესი, დურანი, მირანდა, კესადა, ერნანდესი

არგენტინის და ავსტრალიის კაპიტნები აგუსტინ პიჩოტი და ჯორჯ გრეგანი

მორჩა ბაზარი!

ჩვენმა „მტრებმა“ მტრობა მოიშალეს

საქართველოს ნაკრების მეტოქეების ინგლისის კაპიტანი მარტინ ჯონსონი და სამხრეთ აფრიკის ყოჩი კორნე კრიხე შერიგებულან. ამათ ერთმანეთში მუშტი-კრივი არ ჰქონიათ, მაგრამ ამასწინათ კრიხემ თქვა, ჯონსონი „ბინძური“ კაპიტანია, რაც კაი კაცს არ ეკადრებაო. ცხადია, ჯონსონი ძალიან გააბრაზა კრიხეს ნათქვამმა და მანაც დაიმუქრა მოედანზე გიჩვენებ ვინ არის „ბინძური“.

ერთი სიტყვით, სანამ ერთმანეთს შეხვდებოდნენ, სიტყვიერი დაკა-დაკა ჰქონდათ, მაგრამ პერთში ჩასვლისთანავე კრიხემ დათმო, საქვეყნოდ აღიარა, ენამ წინ გამისწრო და ძალიან ვნანობ მარტინს რომ ვაწყენინეო. ჯონსონმა ალალად გაუგო კოლეგას და წყენა დაივიწყა, ყოველ შემთხვევისთვის თვითონ ასე ამბობს: „კორნეს პირისპირ ვესაუბრე და ყველაფერი მოგვარდა. მას არ უნდოდა ჩემი წყენინება, უბრალოდ, დაუფიქრებლად მოიქცა. მისგან ბოდიშის მოხდას არ ვითხოვდი, ჩემთვის ისიც საკმარისია, კორნე ხომ შემხვდა და კაცურად დავილაპარაკეთ. გულში ბოღმა არცერთს არ ჩაგვიდია და მოედანზე რომ შევხვდებით, კაცური ბრძოლა იქნება და არა მალული ომი.“

მარტინ ჯონსონი და კორნე კრიხე საჯაროდ შერიგდნენ

კრიხე: „ჯონსონმა კარგად გამიგო. ამის გამო მარტინს ახლა უკვე ორმაგად ვაფასებ. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. აქამდეც ბევრი ვილაპარაკე.“

იმის დასტურად, რომ კრიხე და ჯონსონი შერიგდნენ, ორივე ერთად წარუდგნენ მედიელებს და საგანგებო პრესკონფერენციაზე ერთმანეთის ხელიც ჩამოართვეს.

საქართველოს ჩემპიონატი

9 ოქტომბერი რუსთავი

რუსთავი 72:67 ბასკო

13:13, 16:20, 25:19, 18:15

რუსთავი: არწივიძე (3), გოგობერიშვილი (25), ჩხეიძე (1), ტყეშელაშვილი (4), ჯაფარიძე (15); ბერუაშვილი (11), ლიპარტელიანი, დანელიანი (8), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (5)

ბასკო: ი. ბერიშვილი (7), ბ. ბერიშვილი (9), ტუჯანი (7), იმნაძე (4), ბერძენიშვილი (22); დ. ბერიშვილი (6), ჩხატარაშვილი (2), კვიმსაძე, კეშელავა (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

რუსთავმა წაუაზოტა

ყველაფერში დამნაშავე ბურთია



გუშინ რუსთაველებმა ძველი დრო გაიხსენეს. მეტალურგთა ქალაქში ჩასულ საჩემპიონოდ მომართულ ბათუმის „ბასკოს“ მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუდეს, წლების მანძილზე ნაგროვები გამოცდილება შეალიეს ძლიერ მეტოქესთან ბრძოლას და გაიმარჯვეს კიდეც.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა რუსთაველებმა მოიგეს და ასპარეზი, რა თქმა უნდა, გასამარჯვებლად, უფროს თანაქალაქელებს დაუთმეს. ოთარ ხმელიძის სამწყსოს მოთუხთუხე ტრიბუნები რუსთავში არასდროს აკლდა და გამონაკლისი არც ეს მატჩი გახლდათ, მით უფრო, რომ ქვემო ქართლს „ბასკო“ სტუმრობდა, 3 წლის წინ ფინალში „აზოტის“ გამამწარებელი გუნდი.

„აზოტს“ დღეს თმკც ჰქვია, მაგრამ გუშინდელ მატჩში ძველაზოტური ჟინი გამოავლინა. მასპინძლები გამარჯვებას უთუოდ იმსახურებდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბასკოელებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს. ასეთ თამაშებზე იტყვიან, დავითარსეთო.

„ბასკო“ ალბათ მაშინ დაინავსა, მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ ბათუმიდან ჩამოტანილ ბურთს ბოლო წამს შედარებით დაბალი ხარისხის რუსთაველთა ბურთი რომ ამჯობინა, ამით ვითამაშოთო. არადა, მაჩალაძეს ბათუმელების ბურთი უკვე ხელში ჰქონდა და სასტვენი პირში, წამწამზე სადავოს ააგდებდა, მაგრამ რუსთაველთა თავკაცებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, მასპინძლები ვართ და თუგინდ უხარისხო ბურთი გვქონდეს, თუ მოვითხოვთ, ვითამაშებთ კიდეცო. კანონი კანონიაო, თქვა მაჩალაძემ და რუსთაველთა ოდნავ გახუნებული ბურთი მოიხელთა, მასპინძლებს კი უთხრა, სიმართლე თუ გინდათ, ეს სტრიტბოლის ბურთიაო.

ასე იყო თუ ისე, ეს გახუნებული ბურთი რუსთაველებმა ბათუმელებზე მეტჯერ ააგდეს მეტოქის კალათში, თუმც ბურთი თავიდან ჯიუტობდა და, მრავალი მცდელობის მიუხედავად, შორი მანძილებიდან არა და არ ჩადიოდა რკალში.

შორი სროლები კი გუნდებს იმისთვის დასჭირდათ, რომ ფერქვეშ შესვლა ჭირდა. ბათუმელი დავით ბერძენიშვილი და რუსთაველი ირაკლი ჯაფარიძე ერთმანეთს გვარიანად ეჯაჯგურებოდნენ. „ბერძენას“ პირველ მეოთხედში გვერდში ჰყავდა მასავით ზორბა დავით იმნაძე და მეტოქეებსაც იშვიათად, მაგრამ მაინც სჯობნიდა.

პირველი მეოთხედი ქულა ქულაში გაილია და მიუხედავად სწრაფი თამაშისა, მოხშირებული შეცდომების გამო ერთობ მცირე ანგარიშით, 13:13 დასრულდა. რუსთაველთა მხცოვანი ლიდერები, რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე, რომელთაც საწყის მეოთხედში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, მეორე ათწუთეულიდან ათამაშდნენ. პირველმა სამქულიანების ნავსი გატეხა და მომდევნო გარღვევის შემდეგ რუსთაველები მეტოქეს ოდნავ მოსწყვიტა — 23:17. თქვენზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და ბათუმელებმაც შორიდან შეუტიეს. ორ ზუსტ სამქულიანს ჟოლივეტ ტუჯანიმ ორი გარღვევაც მოაყოლა და სტუმრები 4-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ დიდ შესვენებაზე.

„ბასკო“ იშტაზე იყო და თუ რუსთაველები გამარჯვებაზე რეალურად ფიქრობდნენ, მესამე მეოთხედში უნდა გამოეჩინათ საკუთარი ძალა. შეძლეს კიდეც. რამაზ გოგობერიშვილმა საბოლოოდ მიაგნო ბათუმელთა ფარისკენ სავალ საიმედო ბილიკებს, დაცვაში კი რუსთაველებს სამარქაფო იური დანელიანი გამოადგათ, რომელიც ბათუმელ ბერძენიშვილს ყოჩაღად დაუდგა.

მესამე მეოთხედში ბათუმელებმა თამაშის უკანახაზელებზე აგება სცადეს. ამან თითქოს გაჭრა, ტყუპმა ბერიშვილებმა რამდენიმე საჭირო სამქულიანი მიითვალეს და ამის წყალობით ბათუმელები ბოლო ათწუთეულის წინ მხოლოდ 2 ქულას აგებდნენ.

„ბასკო“ მთლიანად დაცვაზე გადაერთო, პერიმეტრი საიმედოდ გადაკეტა. ამას რომ გუნდი ახერხებს, ერთის მხრივ კარგია, მაგრამ თუ მეტოქეს შორი სროლები წაუვიდა, მაშინ ხარ ცოდო. ჰოდა, მასპინძლებმაც მეტოქის ზონაში რომ ვერ შეაღწიეს, იძულებით შორიდან ისროდნენ და ჰოი, იღბალო, უმართლებდათ. „რუსთავმა“ ორიოდ წუთში დაიბევა ათქულიანი უპირატესობა და მეტოქე კედელთან მიაყენა. ბათუმელებმა იჯახირეს, იმავ ბერძენიშვილის დახმარებით თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 4 ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ სწორედ გადამწყვეტ მომენტში ჩაფლავდნენ, ბურთს თითქოს ცეცხლი უკიდიაო, წამდაუწუმ ხელიდან უვარდებოდათ. რუსთაველებსაც მეტი რა უნდოდათ, დარჩენილი დრო მშვიდად ჩაითამაშეს და „ძველი მტრის“ ძლევით უსაზღვროდ გაიხარეს.

ირაკლი პერტაია

გუშინ ფოლადელების ფიტი

რუსთაველთა ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი ჩვეულად გაუძღვა თავისიანებს

ჩვენც გავაფრინეთ
შევარდნელი და-ძმის კვალზე



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მყინვარწვერი



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო



ფრიდრიხ პაროტი



გიორგი ნიკოლაძე

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ნოდარ ნადირაშვილი და შოთა მირიანაშვილი



ჩვენი „დები“ მწვერვალისკენ...

მწვერვალზე

წინათ მყინვარწვერზე ამსვლელები თავიანთი ლაშქრობის შესახებ წიგნებს წერდნენ და ფართო აუდიტორიის წინაშე მოხსენებებითაც გამოდიოდნენ. ოდესღაც ამ ულამაზეს მწვერვალზე ასვლა მართლაც დიდ მოვლენად ითვლებოდა. მერე მთამსვლელობა ისე განვითარდა, ისეთი სიმაღღეები დაიპყრო, რომ ახლა ყაზბეგის რაიონში აღმართულ კავკასიონის ამ ბუმბერაზზე მოლაშქრენი საგაზეთო ინფორმაციებსაც კი აღარ წერენ.

და მაინც, ჩვენ ახლა ნარკვევს გთავაზობთ, რაკიღა საამისო საბაბი გვაქვს — წლეულს შესრულდა 80 წელი, რაც გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტელებმა მყინვარწვერი დალაშქრეს, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ქართული და საერთოდ საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას.

ამ საიუბილეო თარიღს მყინვარწვერზე მრავალი ასვლა მიეძღვნა, მათ შორის, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ექსპედიციისაც, რომელსაც მისივე პრეზიდენტი შოთა მირიანაშვილი მეთაურობდა. ეს ასვლა იმდენად იყო გამორჩეული, რამდენადაც მისმა მონაწილეებმა, სხვათაგან განსხვავებით, სოფელ გველეთიდან, დევდორაკის ყინვარის მხრიდან გავიარეთ ის გზა, რომლითაც გიორგი ნიკოლაძის გუნდის წევრებმა მიაღწიეს მიზანს. არადა, ამ მარშრუტს მისი სიგრძის და სირთულის გამო მთამსვლელები იშვიათად ადგებიან და იქით ფეხი ცნობისმოყვარეობის გამო თუ წაუცდებათ.

ასე იყო თუ ისე, კავკასიონის მასშტაბებისთვის იმ უშველებელ გზას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოში გერმანიის საერთაშორისო დახმარების ფონდის „ინტერნეიშნლ ჰილდსის“ წარმომადგენლობის დახმარებით დავადექით. დავადექით მეტ-ნაკლებად ახალბედებიც და ფრიად გამოცდილი მთამსვლელებიც, რომლებსაც ერთ დროს კავკასიონის, პამირისა თუ ტიან-შანის მწვერვალებიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების „ოქრო-ვერცხლი“ ჩამოჰქონდათ. მათ შორის იყვნენ: ომარ ბერაძე, დიმიტრი დანგაძე, ნოდარ ნადირაშვილი, ოთარ და რეზო ხაზარაძეები, თავად შოთა მირიანაშვილი და სხვები...

გუნდში იყვნენ სრულიად ახალგაზრდები და სამოცდაათს მიახლოებული თუ ამ ასაკს გადაცილებულნიც, რომლებიც მყინვარწვერზე პირველად ნახევარი საუკუნის წინათ ასულან.

იმ პირველი ამსვლელებივით ჩვენთან იყვნენ გოგოებიც, რაც ამ ექსპედიციას სხვათაგან ამითაც გამოარჩევდა.

ამ ლაშქრობისას ჩვენი მეგზური იყო 1983 წელს ზაზა აბზიანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით დასტამბული გიორგი ნიკოლაძის ჩანაწერები „პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე“, რომელიც მისმა ავტორმა 1924 წლის 24 მარტს წაიკითხა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პირველ სხდომაზე და დაისტამბა იმავე საზოგადოების „მოამბის“ პირველ ნომერში.

ეს წიგნი ჩვენს ექსპედიციაში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა წამოიღო და მთელი ლაშქრობისას ხელიდან-ხელში გადადიოდა. ღამ-ღამობით სანთლისა თუ ფარნის შუქზე მისი კითხვა ძალზე ახალისებდა ჩვენს „დებს“, როგორც გიორგი ნიკოლაძე თავისი ჯგუფის გოგონებს უწოდებდა.

გიორგი ნიკოლაძე თხრობის დასაწყისში იხსენებს მყინვარწვერზე მანამდე ასვლების იმ ისტორიას, რომელზეც მას ხელი მიუწვდებოდა. შემდგომში კვლევა-ძიების შედეგად ეს ისტორია ჯერ კიდევ გასული საუკუნის იმავე ოციან წლებში ძირითადად მთამსვლელ დევი მიქელაძის მიერ მეტ-ნაკლებად შეივსო და რაკი ეს ნაჯაფი, ერთად თავმოყრილი, მას მერე მგონი არც გამოქვეყნებულა, მისი გახსენება ამ საიუბილეო ლაშქრობისას უპრიანი იქნება.

ერეკლე II მეფობის ხანაში მყინვარწვერზე ასული იოსებ მოხევის, აგრეთვე ბერ მამუკასა და მისი ძმისწულის ლაშქრობები ამ მწვერვალზე, ჩვენდა სამწუხაროდ, ოფიციალურ მატიანეში არ შედის. ოფიციალური წყაროების მიხედვით პირველი, ვინც მყინვარწვერზე ასვლა სცადა, იყო ახალგაზრდა ტარტუელი ქირურგი, მომავალი აკადემიკოსი ფრიდრიხ პაროტი, მან 1811 წელს სამჯერ რუსის ჯარისკაცებთან ერთად გერგეტის ყინვარიდან ამაოდ მიიტანა იერიში მყინვარწვერზე და უამინდობის გამო 4250 მეტრის სიმაღლიდან პირი იბრუნა.

სხვათა შორის, პაროტი იყო პირველი, ვინც მყინვარწვერის ფერდობებიდან ჩამოიტანა ამბავი, იქ 3600 მეტრის სიმაღლეზე გამოქვაბული ენახეო (საუბარი იყო ლეგენდარულ ბეთლემის გამოქვაბულზე, რაც მერე დადასტურდა კიდეც). იგივე პაროტი იყო პირველი, ვინც დიდი არარატი დალაშქრა (1829 წ.).

1844 წელს მყინვარწვერს ექიმი კოლენტაი მიადგა, მაგრამ მიზანს ვერც მან მიაღწია. კოლენტაიმ 4434 მეტრი სიმაღლიდან პირი იბრუნა და ამბავი ჩამოიტანა, ამ მწვერვალზე ასვლა შეუძლებელიაო.

რაც შეეხება მყინვარწვერზე პირველ ოფიციალურ ასვლას, იგი 1868 წლის 19 ივნისს გერგეტის ყინვარის მხრიდან განახორციელა ინგლისური ალპინიზმის პატრიარქმა და გეოგრაფმა სერ დუგლას ფრეშფილდმა, რომელსაც თან ახლდნენ ჯაკერი, მორი და მისი მუდმივი თანამგზავრი, ცნობილი ალპიელი გამყოლი დევუასუ.

ამის მერე, 1873 წელს მყინვარწვერზე ორჯერ ავიდა რუსი მთამსვლელი კოზმინი, 1887 წელს — იტალიელი რობერტ ლერბო, 1889 წელს ავიდნენ შვეიცარიელები რუკდეშელი და გირში, მერე გერმანელები კული, ფიშერი, ჯოსი და კასპარი. იმ წლის ასვლები გაასრულა რუსმა ტოპოგრაფმა პასტუხოვმა, რომელმაც მწვერვალისკენ ახალი ბილიკი გაკვალა მაილის ყინვარიდან.

1891 წელს მყინვარწვერს ცნობილმა გერმანელმა მთამსველელმა და გეოლოგმა მერცბაჰერმა მიაღწია, 1895 წელს — რუსებმა ეროფეევმა და შტებერმა, 1897 წელს — უნგრელმა მორის დეჩმა.

დეჩის მერე მყინვარწვერზე უკვე ყოველწლიურად ადიან მთამსვლელები, მაგრამ ამ ლაშქრობათაგან გამოსარჩევია 1900 წელს რუსი გეოგრაფის მარიამ პრეობრაჟენსკაიას ასვლა, რომელიც პირველი ქალი გახდა, ვინც მყინვარწვერიდან გადმოიხედა და მან მერე ეს კიდევ 9-ჯერ შესძლო.

იმავე პერიოდში სარბიელზე გამოდიან საქართველოს გამყოლები: ხუციშვილი, წიკლაური, კაზალიკაშვილი და სოფელ გველეთში მცხოვრები სამი ქისტი ძმა ბეზურთანოვები...

ამასობაში დადგა 1923 წელი, როცა გიორგი ნიკოლაძის რაზმი სოფელ გველეთის გზას გაუდგა.

„გზაში პრეობრაჟენსკი შეგვხვდა თავისი ექსკურსიით — წერს გიორგი ნიკოლაძე — ტვირთმტარი გავაჩერეთ, ჩამოვხტით და პრეობრაჟენსკის ქალს პატივისცემით მივესალმეთ. იგი დაბალი, თმაჭაღარა და სუსტი აგებულების ქალი ყოფილა. მოხუცია, მაგრამ თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავს. ჩვენ დებსავით შარვლით იყო. ტიტველა ფეხზე წუღა ეცვა. ჩვენი მოზარდები და ქალები რომ დაინახა, სიცილი დაიწყო: „ტყუილად ნუ ეცდებით: ამოდენა ხალხის ერთად მწვერვალზედ ასვლა ვის გაუგია, თანაც ყოველ ქალს ორი ან ერთი გამყოლი მაინც უნდა ახლდეს, რომ ძნელ ადგილებზე ეხმარებოდნენ. თქვენისთანა ბავშვები იქ სულ ვერ ავლენ.“ ჩვენებმა ეს სიტყვები ძლიერ იწყინეს; პრეობრაჟენსკის ცივად გამოვესალმეთ და ჩვენ გზას გავუდექით. მალე ხიდს გავცდით და გველეთში ჩავედით.“

ახლა ცნობილია, რომ გიორგი ნიკოლაძის რაზმის „იმოდენა ხალხი“ და „ბავშვებიც“ მწვერვალზე ავიდნენ, ახლა კი ჩვენმა „დებმა“ უგამყოლოდ და დაუხმარებლადაც კუნტრუშ-კუნტრუშით მიზანს მიაღწიეს...

იმავე დღეს მიზანს მიაღწია გივი ქართველიშვილის რაზმმაც, რომელიც გერგეტის ყინვარიდან ავიდა, თუმცა ჩვენი წლევანდელი „გაფრენები“, როგორც გიორგი ნიკოლაძე ამგვარ ლაშქრობებსაც უწოდებდა, ამით არ გასრულებულა...

ავთანდილ გურასაშვილი

ᲛᲔᲗᲝᲗᲔ ᲓᲠᲐᲘᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲗᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘ

მაგარსაფარი. საპრიზო 800 ათასი ევრო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

რაინერ შუტლერი (1, გერმანია) — **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **ნიკოლა მაუ** (საფრანგეთი) — **სებასტიან გროჯანი** (2, საფრანგეთი) 4:6, 6:3 **გროჯანმა შეწყვიტა; პარადორნ შრიჩაფანი** (3, ტაილანდი) — **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) 6:1, 6:1; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — **მარდი ფიში** (5, აშშ) 7:5, 6:3; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — **უეინ ფერეირა** (6, სამხრეთ აფრიკა) 7:6 (9:7), 7:6 (7:5); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **მარატ საფინი** (7, რუსეთი) 6:1, 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — **ევგენი კაფელნიკოვი** (8, რუსეთი) 6:2, 6:3; **როგი ფეინერი** (აშშ) — **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 6:3.

წინა კვირას ტოკიოში ტიტულმომპოვებელმა რაინერ შუტლერმა რიგიანად ბურთაობა ლიონში განაგრძო, სადაც არც მეტი, არც ნაკლები — ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, ჭაბუკი ფრანგი პოლ-ანრი მათიო შემუსრა. მასზე უფრო უოფლოდ გაიარჯა ასევე ნატოკიოარი პარადორნ შრიჩაფანიც, ვინაც ესპანელი სანჩესის ძლევას სულ რაღაც 40 წუთი მოანდომა.

ტოკიოშივე ნატკენი მარცხენა კოჭი გაიმიზეზა და ამის გამო უსახელო თვისტომ მაუსთან მატჩის ჩამთავრება ვერ შეძლო შუტლერსა და შრიჩაფანს შორის, მეორეჯერად განთესილმა სებასტიან გროჯანმა. მაუსთვის ეს კარიერის მესამე საეტაპიო გამარჯვება გახლდათ.

მანამდე ტურნირს გამოაკლეს ორივე სახელიანი რუსი მოთამაშე — ევგენი კაფელნიკოვი და მარატ საფინი. პირველი მეორე შეხვედრაში მეორედვე დამარცხდა ესპანელ ფერნანდო ვისენტესთან, მეორემ კი მერვე პირად შეხლაში უკვე მეშვიდედ დაუთმო დახვეწილ ფრანგ ფაბრის სანტოროს. ბოლო თვეების განმავლობაში მაჯაგატანჯულ საფინს უკვე ხუთი თვეა, ერთი მატჩიც არ მოუგია. ბოლოჯერ მან აპრილში, ბარსელონურ ნახევარფინალში სძლია ხუან კარლოს ფერეროს.

სეზონის პირველი ჭერქვეშა გამარჯვება მიითვალა ამერიკელმა რობი ჯინეპრიმ, რომელმაც — ცოდვა გაუმხელელი სჯობს — ჩაუქ ჩოგნაობაზე მეტად ყურადღება თავისი მეგობარი გოგონათი მიიპყრო. ეს გოგონა მსახიობი მინი დრაივერია, რომელიც ლიონში რობის ხათრით ჩავიდა და არა მარტო იქაური ღირსშესანიშნაობებით ისიამტკბილა.

სხვაფრივ — ვეტერანმა ფრანგმა სირილ სოლნიემ წლევანდელი რბოლის ზეოცეულში გასრულების პერსპექტივა წაუმურდლა ჯინეპრის თვისტომ მარდი ფიშს. ფიშმა შარშან 11 მარცხის წილ ამდენივე გამარჯვება მოიმკა და რბოლა ოდენ 102-ე ადგილზე გაასრულა, წლეულს კი მისი საამმოენტო ბალანსი 23 წაგების ზევით 32 მოგებაა და რბოლაშიც პირადსარეკორდოდ მაღალ, 24-ე საფეხურზე დგას.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

მაგარსაფარი. საპრიზო 765 ათასი ევრო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) 6:2, 6:2; **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) 6:4, 6:7(6:8), 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — **ირჟი ნოვაკი** (3, ჩეხეთი) 6:4, 7:6 (7:3); **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) 6:4, 6:2; **ალბერტ კოსტა** (8, ესპანეთი) — **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) 6:4, 6:4

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — **სხენგ შალკენი** (4, ჰოლანდია) 6:2, 2:6, 6:2

ვენაში შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო როჯერ ფედერერმა. წლეულს ხუთი ტურნირის მომგები შვეიცარიელისთვის ეს უკვე 63-ე საამსეზონო გამარჯვებაა და ამ მაჩვენებლით ის წლის აქამომდელ რეკორდსანს ენდი როდიკს გაუტოლდა.

მეორე წრისკენ გაივაკა ტურნირზე ფედერერის მომდევნოდ განთესილმა კარლოს მოიამაც. ის ახლა რბოლის მეშვიდეადგილოსანია და დიდი შანსები აქვს, წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ჰიუსტონურ მასტერთასზე მოხვდეს. შეგახსენებთ, იქ მონაწილე ხუთი მეჩოგნის ვინაობა უკვე გარკვეულია — ესენი რბოლის პირველ ხუთ ადგილზე მდგომი ენდი როდიკი, როჯერ ფედერერი, ხუან კარლოს ფერერო, ანდრე აგასი და გილერმო კორია არიან...

საპირველწრეო ამბებიდან გამოსარჩევია აგრეთვე ალბერტ კოსტას მიერ წინა კვირას მოსკოვურ ფინალამდე ნაომარი სარგის სარგსიანის ძლევა — ბოლო სამ თვეში ეს კოსტას მეორე გამარჯვებაა და იმიტომ!

რობი ჯინეპრის ქორფა მეგობარი მინი დრაივერი

ᲞᲝᲠᲨᲔᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘ

ფილადელფია. საპრიზო 650 ათასი $

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

აველი მორესმო (5, საფრანგეთი) — **მეგან შონესი** (აშშ) 7:6(7:4), 6:2; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — **ნადია პეტროვა** (რუსეთი) 6:3, 6:3; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) 1:6, 6:4, 6:3; **ანასტასია მისკინა** (8, რუსეთი) — **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) 0:6, 6:1, 4:0 **სტივენსონმა შეწყვიტა; მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — **ელენა დოკიჩი** (იუგოსლავია) 7:5, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **ლიზა რეიმონდი** (აშშ) 6:3, 6:4; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) 6:2, 6:0

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) 6:0, 7:6(7:1)

ჟუსტინ ენენ-არდენი ამ კვირაში თავისი ფუმფულა თვისტომ კი კლაისტერსისგან ქალთა უპირველესი ჩოგნის წართმევას გეგმავს. ეს ამბავი მას ორ შემთხვევაში გამოუვა — თუკი თავად ფინალში გააღწევს და კიმი ფინალამდე ჩაფლავდება ანაც თუკი კიმიც გავა ფინალში, მას იქ აჯობებს. ერთი სიტყვით, ამ პორშეობაზე დიდ ამბებს უნდა ველოდოთ.

თავისი პრეტენზიების საფუძვლიანობა ჭინკა ჟუსტინმა პირველსავე წრეში ცხადყო, სადაც უიმბლდონის ოდინდელი ჩემპიონი, ესპანელი კონჩიტა მარტინესი მიბეგვა.

თავად კიმი საქმეში მოგვიანებით ჩაერთვება და ჩოგანს მის მიერ შარშანდელ ფინალში ძლეულ დანიელა ჰანტუხოვასთან გადაჯვარედინებს. მსოფლიოს მეცამეტეადგილოსანმა სლოვაკმა პირველ წრეში ამერიკელ ლიზა რეიმონდს მოუგო და ეს საკმაოდ შთამბეჭდავად გააკეთა.

სანაცვლოდ ისევ წაიფორხილა ელენა დოკიჩმა, ვინაც წლეულს უკვე იმდენჯერ და იმდენგან იძლია, რომ სეზონის დასაწყისში ნაქონი მეცხრე სარეიტინგისო საფეხური უკვე 25-ზე (!) გადაცვალა.

ვილდერშტადტში არიან ბოლო დროს ორ-ორი ტიტულის მომგები ზეათეულელი რუსგოგიებიც — ელენა დემენტიევა და ანასტასია მისკინა. მათ იმ დღეს მხარი აუბა ელენა დოკიჩმაც, ვერა ზვონარიოვას კი ჩია ჩანდა რუბინის დასამარცხებლად სიბასრე არ ეყო. ერთი რუსიც, წლევანდელ როლანგაროსის ნახევარფინალისტი ნადია პეტროვა თავად დემენტიევამვე აბარგა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲣᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ



როჯერ ფედერერი

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛ ᲛᲐᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲫᲚᲘ

რაც „ანაჰაიმის“ დიდი ხნის ლიდერმა პოლ კარიამ სხვა გზა იპოვა, „იხვებსაც“ უკეთ წაუვიდათ საქმეები. დიახ, ეს პარადოქსია, მაგრამ... კარიას ხელფასი, 10 მილიონი, კალიფორნიელებმა გონიერულად გამოიყენეს და სერგეი ფეოდოროვის სახით დანაკარგი აინაზღაურეს. მეტიც, კარია წმინდა წყლის მეგოლე იყო, ფიოდოროვი კი მრავალპლანიანი მოთამაშეა, რომელსაც ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში, მათ შორის დაცვაშიც. თანაც თვით რუსი დამაჯერებლად აცხადებს, რომ ახლა მის კარიერაში ახალი, უკეთესი ეტაპი იწყება, ვინაიდან „დეტროიტში“ მაქსიმალურად არ იყენებდნენ მის პოტენციალს. ასე რომ, „ანაჰაიმი“ სულაც არ აპირებს, „ვაშინგტონისა“ და „კაროლინას“ მიჰბაძოს, რომლებიც ფინალში ერთხელ გასვლის შემდეგ ჩრდილში ექცეოდნენ. სხვა საქმეა, რომ ახლა „ანაჰაიმს“ ყველა უფრო სერიოზულად მოეკიდება.

ᲓᲐᲚᲐᲡ ᲡᲢᲐᲠᲡᲘ

ბოლო წლების განმავლობაში „დალასმა“ პირველად აარიდა დანახარჯებს თავი და საკმაოდ ფრთხილობდა სატრანსფერო ბაზარზე. შედეგად „ვარსკვლავებს შედარებით სუსტი დაცვა შერჩათ. განსაკუთრებით დერიან ჰეჩერის დაკარგვით იზარალეს („დეტროიტში“ გადავიდა) — ვერც დონ სუინი ჩაითვლება მის ტოლფას შემცვლელად და ვერც ტეპო ნუმინენი. თუმც, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, შემადგენლობის თითქოსდა დასუსტებამ ეგებ საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს. დაახლოებით ამგვარ სიტუაციაში მყოფ შარშანდელ „ნიუ ჯერსის“ „სპორტ ილუსტრეიტედმა“ დივიზიონში ბოლო ადგილი უწინასწარმეტყველა, მაგრამ გახსოვთ, „ეშმაკები“ ბოლოს სად აღმოჩნდნენ?

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲙᲘᲜᲒᲡᲘ

ყველაზე ადვილი იქნებოდა, წინა სეზონში „მეფეთა“ უკუსვლის მიზეზად ხშირი ტრავმიანობა დაესახელებინათ, მაგრამ გუნდის მეთაურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სხვა გზა აირჩიეს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებით სცადეს გუნდის წახალისება. მთლიანად შეიცვალა მეკარეთა ბრიგადა, რომელიც ახლა ორი ჩეხისგან, მილან ჰნალაჩკასა და რომან შეხმანეკისგან შედგება. შეემატათ სამი ვეტერანი ფორვარდიც, მათ შორის სახელოვანი ლუკ რობიტაილი, რომელიც მესამედ მივიდა გუნდში. „დეტროიტში“ გატარებული ორი არცთუ სახარბიელო სეზონის შემდეგ ლუკმა შეიგნო, რომ „ლოს ანჯელესი“ მისთვის მშობლიური გუნდია და წლეულს, ცხადია, იგი ძველი ავტორიტეტის დაბრუნებაზე იზრუნებს. ამ საქმეში რობიტაილს პლეიმეიკერი იოზეფ შტუმპელი დაეხმარება, რომელიც ასევე დაბრუნდა „ლოს ანჯელესში“ სამწლიანი პაუზის შემდეგ.

ᲤᲘᲜᲘᲫᲡ ᲙᲝᲘᲝᲢᲘᲡᲘ

„ლოს ანჯელესის“ დარად, „ფინიქსმაც“ გასული სეზონი მოთამაშეთა ტრავმების გამო ჩაიფლავა, მაგრამ როცა „კოიოტები“ უძლიერეს შემადგენლობას უყრიან თავს, ფავორიტად მაშინაც ვერ აღიქმებიან. უპირველეს ყოვლისა, გუნდს ერთი-ორი გამტანი ესაჭიროება, რაც „ფინიქსის“ ქრონიკულ პრობლემად იქცა კეიტ ტკაჩუკის წასვლის შემდეგ. ეგებ ფინიქსელებს სჯერათ, რომ ახალი ფორმა და ახალი არენა მათ წარმატებას მოუტანს, მაგრამ დიდი საქმეების კეთებისთვის ეს საკმარისი არ არის. პლეი ოფში გასვლაც კი უეინ გრეცკის გუნდისთვის დიდი მიღწევა იქნება.

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ ᲨᲐᲠᲫᲘ

ხუთწლიანი თანმიმდევრული პროგრესის შემდეგ „ზვიგენების“ ელვისებური დაცემა წინა ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი და აუხსნელი სენსაცია გახლდათ. ამიტომ ამჟამად სანხოსელთა ოცნებები გაცილებით მოკრძალებულია და სტენლის თასზე აღარავინ ფიქრობს. მით უმეტეს, რომ კალიფორნიელებმა ოუენ ნოლანი და ტეემუ სელიანე გაყიდეს და შენების პროცესს ხელახლა შეუდგნენ. ახლა „ზვიგენების“ ბირთვს ამბიციური ახალგაზრდობა შეადგენს, რომლებიც, იმედია, კბილებს კვლავ გამოაჩენენ.

ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ



ტეემუ სელიანეს გაშვების შემდეგ ანაჰაიმელმა „იხვებმა“ თავი დაყარგეს



REUTERS ტოკიოდან

ხუთი ხუთზე

ამ „ფერარით“ გეგმავს ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი კვირას, ტოკიოურ სუძუკაზე მეექვსედ გაჩემპიონებას. ფოტო იქვეა გადაღებული და შუმიც ცერა თითის შემართვით ეუბნება მის ადგილზე ჩასკუპებულ ხუთი წლის იუტას — ყველაფერი რიგზეაო!

REUTERS ნიუკასლიდან

პელექცია

ნიუკასლის უნივერსიტეტში პელეს კოლექცია გამოუფენიათ. ფეხბურთის მეფე ამ ამბავთან დაკავშირებით საჯორდეთს სწვევია და „ნიუკასლის“ მწვრთნელ სერ ბობი რობსონიც სწორედ იქ უნახავს. ამას, თუ რატომ აქვს დიად ბრაზილიელს ხელი გადახვეული, ვერ იტყობინებიან — ტრავმის მიზეზი უცნობიაო.

დალოცვა

სამხრეთაფრიკელი მსუბუქწონისანი მოკრივე ფილიპ ნდუ ამერიკას მიეშურება, რათა BWC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ფლოიდ მეიუეთერს ტიტულს შეეცილოს. გამგზავრების წინ კი სამხრეთაფრიკელთა მამას, პრეზიდენტყოფილ ნელსონ მანდელასთან მისულა, რათა მისგან დალოცვა და რჩევები მიელო.



REUTERS იოჰანესბურგიდან

პლაჟბურთი

რიოს სექსქვიშებში დიდი რამ პლაჟფრენბურთი გაჩაღებულა. იმ დღეს აშშ მასპინძელ ბრაზილიას ერკინა და 21:14, 21:16 მოუგო. ეს ამერიკელი წყნსი მეისონია — შეხლაში მან ამაზე არანაკლები ბურთებიც გადაარჩინა.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS ჯაფლა ლუმპურიდან

ცუდი ცხენი

ცუდი გამოდგა მალაიზიელი სერჟანტის, ომარ ღანის ცხენი დამაკი, რაკიღა კუალა ლუმპურის გრან პრისას პირველსავე დაბრკოლებასთან გაოჩნდა, მხედარი მიწას დაანარცხა და მერე მისგან მათრახიც დაირტყმევინა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეფილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, იაპაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ოლგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge